პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმის თვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩიტირეკიას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., [illegible] ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 3—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღის ქრონიკა

— ინგლისში ურთიერთობა მუშებსა და მეპატრონეებს შორის კვლავ გამწვავდა.

პალესტინის არაბებს შორის დაიწყო მოძრაობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების სასარგებლოთ.

— დამზღვევ კასების არჩევნების დროს ჩეხოსლოვაკიაში რევოლიუციონურმა პროფკავშირებმა გაიმარჯვეს.

— ლენინგრადში ჩავიდა მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტის დელეგაცია.

შაბათი, 15 აგვისტო 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 186 (1341)

გადასახლების საკითხი ჩვენში

უდიდესი მნიშვნელობის საკითხია, რომლის მიზანშეწონილად და დროულად გადაჭრაზე ბევრადაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის აღორძინება, გლეხური მოსახლეობის მეტად საგრძნობი ნაწილის მომავალი.

მიწის უკიდურესი სივიწროვე ჩვენში ძველისძველი და საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. საქართველოში ამჟამად არის დაახლოვებით 150.000 გლეხთა მეურნეობა, რომელთაც გააჩნიათ ერთ დესეტინაზე ნაკლები სახნავი და სათიბი: ხოლო ბაღების და ძვირფას კულტურების სივრცე ამ მეურნეობებში დესეტინის ერთ მეათედსაც არ შეადგენს.

თუ ამასთან მივიღებთ მხედველობაში მრავალ დასახლებულ მიწების გამოუსადეგრობას და სასოფლო-მეურნეობის ჩამორჩენილობას, როცა გლეხობა მოკლებულია აგრონომიულ ცოდნას და თანამედროვე ტეხნიკას,—ადვილად წარმოიდგენთ სოფლის მოსახლეობის უკიდურეს სილარიბეს და გაჭირვებას

რო არ ვილაპარაკოთ მეფის მთავრობაზე, მენშევიკებს თითიც არ გაუნძრევიათ მიწის სივიწროვით გამოწვეულ გლეხობის აუტანელი მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

ამ საკითხის მოწესრიგების მთელი სიმძიმე საბჭოთა ხელისუფლებას დააწვა. იგი კიდეც შეუდგა ამ მხრივ გადაჭრილ ღონისძიებათა გატარებას. მემამულეებს ჩამოერთვა ნორმაზე მეტი მიწა და გადაეცა უმიწოწყლო და მცირე მიწის პატრონ გლეხობას მაგრამ მიწის სიმცირე ისეთია ჩვენში, რომ ყველას დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო.

ცხადია, რომ მთავარი ყურადღება უნდა მიქცეოდა მიწის ინტენსიფიკაციას, ამ მიზნით აგრონომიულ ცოდნის გავრცელებას და მოსახლეობის მომარაგებას ახალი სასოფლო-სამეურნეო იარაღებით. ასეც ხდება.

უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს სამელიორაციო მუშაობას, რომელიც ფართე მასშტაბით წარმოებს ჩვენში. მორწყვა და ჭაობების ამოშრობა რამოდენიმე ასეულ ათას დესეტინა გამოსადეგ მიწას შეგვმატებს.

აი, სწორედ აქ უნდა მოხდეს უმამულო და მცირე მიწიან გლეხობის დასახლება. გარდა ამისა, საქართველოში მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთნაირი არ არის. თუ, მაგ., იმერეთის ზოგიერთ მაზრებში თავის დასადები ალაგი არ იშოვება, არის ისეთი რაიონები აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც შედარებით სიხალვათეს ვხედავთ. საჭიროა ზედმეტი ხალხის გადასახლება ამ თავისუფალ ადგილებში.

ყველაფერი ეს,—რა თქმა უნდა, ერთბაშად არ შეიძლება. ამ ღონისძიების გატარება მოსახერხებელია მხოლოდ თანდათანობით, რესპუბლიკის მასშტაბით გამომუშავებული გეგმის მიხედვით. ასეთი, ხუთწლიანი გეგმა კიდეც შემუშავებულია. ამ ხნის განმავლობაში განზრახულია 10.000 კომლის გადასახლება და მოწყობა. ეს დაჯდება დაახლოვებით 11.0 0.000 მან., რომელი თანხაც უნდა იქნას გამონახული.

გადასახლების საქმე, გარდა დიდი საშუალებებისა, შეტად მოსაზრებულ საორგანიზაციო მუშაობას მოითხოვს ამ მუშაობას ეხლავე უნდა შეუდგეთ. საკითხი გადადებას არ ითმენს.

გადასახლების საქმის მოგვარება, სასოფლო მეურნეობის განვითარება, რომ მიწის სიმცირე ანაზღაურებულ იქნას მისი განაყოფიერებით და მაღალ კულტურაზე გადასვლით, სამელიორაციო მუშაობის უფრო გაფართოვება, აი, რა გზით უნდა იქნას დაძლეული არსებული მდგომარეობა.

ამავე დროს მრეწველობის აყვავება, საქართველოს ინდუსტრიალიზაცია ეს მეორე გზაა ზედმეტი მოსახლეობისათვის სამუშაოს გასაჩენად, სოფლად მასიური უმუშევრობის მოსასპობად.

მუშურ-გლეხური მთავრობა კიდეც აწარმოებს ინტენსიურ მუშაობას ამ ორივე მიმართულებით.

მტკიცე კომერციულ ნიადაგზე

ეს რამდენიმე თვეა კოოპერაციასა და სახელმწიფო მრეწველობის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ გაცხოველებული დისკუსია სწარმოებდა. ამ დისკუსიამ აშკარათ ცხადყო საბჭოთა ეკონომიკის ორ აგენტთა შორის არსებული არანორმალური დამოკიდებულების მიზეზები და აუცილებელი გახადა მათი ურთიერთობის გარკვეულ ჩარჩოებში ჩაყენება, რომელიც ერთნაირათ სავალდებულო იქნებოდა ორთავ მხარესათვის.

დღეს ეს შეთანხმების, მჭიდრო თანამშრომლობის გზა გამონახულია თვით პარტიის ხელმძღვანელ ცენტრისაგან და ის ცხოვრებაში ტარდება, როგორც სახელმწიფო მრეწველობის ორგანოების, ისე კოოპერაციის მიერ.

რა იწვევდა დავას კოოპერაციასა და მრეწველობის შორის?

სოფლის მეურნეობის სწრაფმა ზრდამ, მოსახლეობის სყიდვითი უნარის განვითარებამ თავისთავად გამოიწვია ბაზარზე საქონლის ნაკლებობა, და მრეწველობის ნაწარმოებზე სიმშილობა. მომხმარებელი კოოპერაცია, რომელიც ქალაქის პროდუქციის მთავარი გამსაღებელი არხია, დამშეულ ბაზარზე, როგორც ვიცით, მარტო და მონოპოლიურად არ გამოდის.

მის გვერდით საქონლის გასაღების როლს კისრულობს სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოები, როგორიცაა ტრესტების და სინდიკატების მაღაზია, და კერძო კაპიტალი. ამ ორ კონკურენტთან შედარებით, კოოპერაცია, როგორც განსაკუთრებულ მნიშვნელობის ორგანიზაცია, რომლის საზოგადოებრივ და პოლიტიკური ფუნქციები, რა თქმა უნდა, მხოლოდ ადლით და საწყაოთ არ განიზომება, თხოულობდა მეტ ყურადღებას სახელმწიფო მრეწველობისაგან, როგორც საქონლის დაუბრკოლებლივ მიწოდების საქმეში, ისე ფასების და კრედიტის პოლიტიკაში.

ამავე დროს სახელმწიფო მრეწველობა, რომელსაც დიდი ტკივილების და დაბრკოლების გადალახვა უხდება, რომ ორთავე ფეხზე დადგეს და ჩქარი ნაბიჯით გასწიოს წინ, რა თქმა უნდა, ვერ შესძლებს ვერც ერთ ორგანიზაციის, რაც უნდა სიმპატიური დანიშნულების არ იყვეს ის, მხრებზე აკიდებას და მასთან დედაშვილურ კომერციულ დამოკიდებულების დამყარებას.

თქმა არ უნდა ამ მოსაზრებით სახელმწიფო მრეწველობა ზოგიერთ შემთხვევაში ამჯობინებდა მომხმარებელთან უშუალო სავაჭრო კავშირის გაბმას და სახელმწიფო სავაჭრო ორგანოებს, როგორც საქონლის მოწოდების, ისე შეღავათიან ფასის მხრივ კოოპერაციაზე დაბლა არ აყენებდა.

ამსთან ერთად, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, დამშეულ ბაზრის პირობებში კერძო კაპიტალმა მეტი აქტივობის გამოჩენა შესძლო და ზოგიერთ შემთხვევაში მას კიდევაც ეხერხებოდა კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოების გზამოვლით ტრესტებთან და სინდიკატებთან უშუალო კავშირის გაბმა და ეკონომიურათ მოღონიერება. ეს მით უფრო ეადვილებოდა მას, რომ თავის კომერციულ ოპერაციებში ის უმთავრესათ ნაღდი თანხით მოქმედებდა, რაც ხიბლავდა და იზიდავდა კრედიტზე და ნისიათ მომუშავე სახელმწიფო მრეწველობას.

აშკარაა, ამ პირობებში მოქცეულ მომხმარებელ კოოპერაციას არ შეეძლო გულგრილათ ეცქირა შექმნილ მდგომარეობისათვის და ის სამართლიანად მოითხოვდა კოოპერაციისადმი ისეთ ყურადღების მიპყრობას, როგორც ეს უნდა ხდებოდეს საბჭოთა რესპუბლიკების პირობებში.

თავის მხრივ სახელმწიფო მრეწველობა საჭიროებს მტკიცე კომერციულ ურთიერთობას ყველა კონტრაგენტებთან და ის დაინტერესებულია, რაც შეიძლება სწრაფი თანხის ტრიალში. ამ შემთხვევაში ის არავითარ განსხვავებას არ ახდენს სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობის შორის.

უნდა მომხდარიყო ამ ორი თვალთახედვის შეთანხმება, კოოპერაციის და მრეწველობის მჭიდრო კავშირის გზაზე დაყენება, ურომლისოდაც წარმოდგენილი იყო, როგორც ერთის, ისე მეორეს ნორმალური განვითარება.

რუსეთის კომპარტიის ცეკას დადგენილებაში ამ საკითხის შესახებ, ჩვენ ვპოულობთ შემდეგ ადგილს: „ტრესტების და სინდიკატების მიერ კოოპერაციაზე საქონლის გაცემა არ უნდა ხდებოდეს იმაზე ნაკლებ შეღავათიან პირობებში, როგორც ის მიეცემა სახელმწიფო მრეწველობის სხვა კონტრ-აგენტებს".

ეს აზრი დადასტურებული და განმეორებით მიღებულია იმ ხელშეკრულებით, რომელიც დაიდო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსა და კოოპერაციას შორის. ამ ხელშეკრულებაში აღსანიშნავია კიდევ მეორე არანაკლებ საგულისხმო მომენტი, რაიც საქონლის საერთო ნაკლებობის პირობებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კოოპერაციისათვის.

მართალია არ უნდა არსებობდეს განსხვავება საქონლის მიწოდების საქმეში კოოპერაციასა და სახელმწიფო ვაჭრობის შორის, მაგრამ კოოპერაციას ამ ხელშეკრულების ძალით სახელმწიფო მრეწველობამ უნდა მიაწოდოს თავის ნაწარმოები იმისდამიხედვით, რამდენათაც გაიზრდება კოოპერაციის ეკონომიური და ფინანსიური შესაძლებლობა და რამდენადაც შესძლებს ის სახელმწიფო მრეწველობასთან საქმიან და ორთავე მხრისათვის ხელსაყრელ დამოკიდებულების გაბმას.

ამნაირათ, ახალი შეთანხმების ძალით, რომელიც შედეგათ მოჰყვა ხანგრძლივ დისკუსიას, სახელმწიფო მრეწველობის და კოოპერაციის შორის იქმნება მტკიცე კომერციულ დამოკიდებულების პირობები, რომელიც ერთი მხრივ აკისრებს კოოპერაციას თავის პრეტენზიებს კომერციულ სარფიანობის რაც შეიძლება მეტი პირობები წაუმძღვაროს და მეორე მხრივ ავალებს სახელმწიფო მრეწველობას, მზათ იყვეს იმ მოთხოვნილებისათვის, რომელსაც წაუყენებს მას მომხმარებელი, ან სხვა სახის კოოპერაცია.

ბ.

შენიშვნები

სარევიზიო კომისიების მუშაობა

კოოპერატიულ, პროფესიულ და სხვა ორგანიზაციებში დღემდე ფართედ აქვს ფეხი მოკიდებული საზოგადოებრივ ქონების გაფლანგვას, უთავბოლო და უკანონო ხარჯების წარმოებას. საამისო ფაქტებით მდიდარია სასამართლოს ქრონიკა. ეჭვს გარეშეა, რომ კიდევ ბევრი რამ ამ სფეროში გამოუმჟღავნებელი რჩება.

ბოროტმოქმედება, რომელსაც სჩადიან თითო-ოროლა ბნელი პირები, სახელს უტეხს, ნდობას უკარგავს ხსენებულ ორგანიზაციებს მასების თვალში და მათ ურთიერთს აშორებს.

თავის თავად ცხადია, რომ ამ ბოროტებას უნდა გამოეცხადოს დაუნდობელი ბრძოლა. ეს ასეც არის. ინსპექცია, პროკურატურა, პრესა ილებენ ამ მხრივ ყოველგვარ ზომებს.

მაგრამ არის კიდევ ერთი ორგანო, რომელსაც დაკისრებული აქვს საკონტროლო ფუნქციები. ჩვენ ვლაპარაკობთ სარევიზიო კომისიებზე. მათ ირჩევს ამა თუ იმ საზოგადოებრივი გაერთიანების კრება და ავალებს ფხიზლად ადევნონ თვალყური გამგეობის ყოველდღიურ საქმიანობას. მხოლოდ აღსანიშნავია, რომ სარევიზიო კომისიები მეტ წილად სრულებით არ იჩენენ სიცოცხლის ნიშან-წყალს. მიღებული წესით საზოგადო კრებაზე თუ გააკეთებენ ისინი მოხსენებას გამგეობის მუშაობის შესახებ, მოხსენებას, რომელსაც უმრავლეს შემთხვევაში „კაზიონშჩინის" ბეჭედი აზის, თორემ სხვაფრივ თითქმის არაფერში სჩანს მათი სახე და მოქმედება.

ბევრი მიზეზები აქვს ამ მოვლენას. საერთოდ სარევიზიო კომისიების მნიშვნელობა არ არის კარგად შეგნებული. ასეთ კომისიის წევრებად არა იშვიათად ირჩევენ არა საკმაო ავტორიტეტით, მომზადებით და ენერგიით აღჭურვილ პირებს. ისინი ვერ ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას და არც მუშაობის ხალისს იჩენენ.

კერძოდ აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციების გამგეობანი ხშირად არამეგობრულად, მტრულად უყურებენ სარევიზიო კომისიებს, თუ უკანასკნელნი კრიტიკული თვალით შეხედავენ პირველთა საქმიანობას, თუ ისინი მართლა მოინდომებენ უკანონობას და ბოროტმოქმედებასთან ბრძოლას.

ამის ნათელსაყოფად აქვე მოვიყვანთ მაგალითს. სათანადო სარევიზიო კომისიამ ერთ-ერთ პროფკავშირის გამგეობის მუშაობაში აღმოაჩინა მრავალი უთავბოლობა და უკანონობა. გამგეობის ზოგიერთ წევრებს აუარებელი ავანსები აუღიათ და უკან კი არ აბრუნებდნენ; საკმაოდ დიდი თანხა, შეგროვილი [illegible] დაზარალებულ ლენინგრადის პროლეტარიატის სასარგებლოდ, არ გადაუგზავნიათ დანიშნულებისამებრ; ქვედა პროფმუშაკებისათვის ხელფასი არ მიუციათ ორი თვის განმავლობაში, თუმცა საამისო თანხა თვითონ ჰქონიათ მიღებული; „ზედმეტი საათებისათვის" გასამრჯელოს უკანონოდ უწერდნენ ზოგიერთ თანამშრომლებს; და მრავალი სხ.

როცა სარევიზიო კომისიამ გამგეობას მოსთხოვა დასაბუთებული განმარტება ასეთი „მოღვაწეობის" გამო, უკანასკნელის იქ ფაქტიურად მომუშავე წევრებმა, რომელთაც მიუძღვით ზევით ხსენებული „დამსახურება" კავშირის წინაშე, თავი „შეურაცხყოფილად" იგრძნეს, მათ იუკადრისეს სარევიზიო კომისიის ასეთი „თავხედობა",—როგორ თუ უნდობლობას გვიცხადებთო!

თვით სარევიზიო კომისიის ზოგიერთი წევრი შეშინდა: თუ ბოროტმოქმედებას გამოვაშკარავებთ, გამგეობა ჩვენზე შემდეგ შურს იძიებს და ხეირს არ დაგვაყრისო. ზოგს კიდევ „ხათრით" თუ „სულგრძელობით" სურდა დანაშაულის შერბილება.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ თანამშრომელმა, რომელიც სარევიზიო კომისიას გამგეობის მამხილებელი მასალა მიაწოდა, დათხოვნილ იქნა სწორედ იმათ მიერ, ვის წინააღმდეგაც ეს მასალა მიმართული იყო. ჩვენ არ ვეხებით ამ დათხოვნის ფორმალურ მოტივებს; ფაქტია. რომ ეს დაკავშირებულია გამგეობის მუშაობის გამოძიებასთან.

ასეთი აღმაშფოთებელი მოვლენა, ცხადია, გამონაკლისს შეადგენს. მაგრამ საერთოდ სარევიზიო კომისიების მუშაობა რომ მძიმე პირობებშია ჩაყენებული, ამის უარყოფა არ შეიძლება.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ფულის გაფლანგვის და ყოველგვარი ბოროტმოქმედებისა თუ უთავბოლობის აღმოსაფხვრელათ უაღრესი მნიშვნელობა აქვს სარევიზიო კომისიების მუშაობას. საჭიროა ერთი მხრივ სარევიზიო კომისიებში გაყვანილ იქნან ღირსეული პირები, მეორე მხრივ—მათ უნდა ჰქონდეთ თავის საკონტროლო ფუნქციების პირნათლათ შესრულების სრული შესაძლებლობა. თორემ არაფერს არ გავს ისეთი მდგომარეობა, როცა სარევიზიო კომისიები გამგეობათა ტერორის ქვეშ იმყოფებიან და როცა ბოროტმოქმედებათა გამომჟღავნებისათვის თანამშრომელს სამსახურიდან ითხოვენ. ასეთი თვითნებობა ძირშივე უნდა იქნას აღკვეთილი.

ზ. ქ.

წერილი ინგლისიდან

მემაღაროეთა კონფლიქტის დროებითი შენელება

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ლონდონი, 1 ავგისტო. უკანასკნელ ჟამს მემაღაროეთა ლოკაუტი აღარ განხორციელდა. კაპიტალისტებმა უკან დაიხიეს. მათ შეეშინდათ მუშათა კლასის იმ ერთსულოვნობისა, რომელიც გამოიწვია მემაღაროეთა ლოკაუტის მუქარამ. ეს გაერთიანება მოხდა წინააღმდეგ მუშათა პარტიის რეფორმისტ-ბელადების სურვილისა, რომელნიც შიშმა შეიპყრო, ვაი თუ ამ კონფლიქტმა თვით რევოლიუციამდისაც მიგვიყვანოსო.

მაღაროების პატრონებმა, რომელთაც დავალებული ჰქონდათ პირველი იერიში მიეტანათ ხელფასისა და სამუშაო დროის წინააღმდეგ, უკან დაიხიეს მხოლოდ დიდის გაჭირვებით. ეს დახევაც მოხდა მხოლოდ მაშინ, როცა მთავრობისაგან მიიღეს დაპირება, რომ მეპატრონეთა მოგება უზრუნველყოფილი იქნება იმ მაღაროებში, რომლებიც ზარალს იძლევიან ან სავსებით დაკეტილ არიან ამჟამათ.

აქ ცხადია, რომ მაღაროს მუშებმა მოიგეს პირველ შეტაკებაში, მაგრამ ბრძოლა ჯერაც არ დამთავრებულა. ნამდვილათ ეხლა იწყება იგი. საბოლოო გამარჯვება ჯერ შორს არის. მის მოსაპოვებლათ საჭიროა, რომ მთელმა მუშათა კლასმა მიახდინოს საყოველთაო დარაზმვა როგორც ნაციონალურ, ისე ინტერნაციონალურ ფარგლებში.

გაერთიანების თვალსაზრისით მემაღაროეთა კრიზისმა ძალიან სასარგებლო როლი ითამაშა. მან აშკარად დაანახვა მთელ მუშათა კლასს ერთიანი ფრონტის საჭიროება და სარგებლობა, რასაც ასე ეწინააღმდეგებიან ტომას მსგავსი პოლიტიკოსები და რეფორმისტი ლიდერები. დიდი გაკვეთილი იქნა მიღებული. და ეს გაკვეთილი არც იქნება დავიწყებული, რადგან ბურჟუაზიის იერიშები და სიმზადისი მთელ მუშათა კლასის წინააღმდეგ ერთობ აშკარა არის.

ყველაფერი მზათ იყო საერიშოთ, მაღაროს მეპატრონეები სასტიკ უარზე იდგნენ.—უკან წაეღოთ ლოკაუტის გადაწყვეტილება და ხელფასის შემცირების წინადადება. მათ სწყუროდათ სასტიკი ბრძოლა და საამისოთ დროც შერჩეულათ ეჩვენებოდათ: მათ კარგად უწყოდნენ მემაღაროეთა ფედერაციის ფინანსიური გაჭირვება და საერთოდ ყველა ტრედუნიონების ხელმოკლეობა. ამასთანავე მათ იმედი ჰქონდათ მუშათა დაქსაქსვის და რეფორმისტების საბოტაჟისა. მათ გადაწყვეტით მხარს უმაგრებდა მთავრობა, რომელმაც დაამზადა მრავალი მეზღვაურები მაღაროებში სამუშაოთ გაფიცვის დროს და აგრეთვე შეუდგა პოლიციის საგანგებო რაზმის შედგენას. ამასთანავე კაპიტალისტებს მოეპოვებოდათ ნახშირის დიდი მარაგი და არც ელოდნენ თუ რკინისგზელები მხარს დაუჭერდნენ მემაღაროეთ.

უკანასკნელი იმედი ჩქარა გაუცრუვდათ. არც მთავრობის მოლოდინი გამართლდა, რომ მუშათა კლასი უკან დაიხევდა.

სულ რამდენიმე საათი აკლდა ლოკაუტის დაწყებას. თუმცა ბალდვინი უკანასკნელ ჟამამდის უარზე იყო—სუბსიდია აღმოეჩინა მაღაროს მეპატრონეებისთვის, მაგრამ კაბინეტთან მოლაპარაკების შემდეგ მან ბოლოს განაცხადა ამისი თანხმობა, რამაც დროებით ბოლო მოუღო კრიზისს.

მთავრობა ადგენს საანკეტო კომისიას ნახშირის წარმოების გასაუმჯობესებლად, რომ ამით ხელი მოემართოს საერთაშორისო ბაზრის დასაპყრობად. სანამ გაგრძელდება ეს ანკეტა, ე. ი. 1926 წლის მაისამდის, მთავრობამ ფინანსიური დახმარება უნდა გაუწიოს იმ მაღაროებს რომლებიც არ იძლევიან მოგებას.

15 დღით გადაიდო ლოკაუტის გამოცხადება. ამ ხნის განმავლობაში უნდა დამთავრდეს მოლაპარაკება, თუ რა სახით იქნება გაღებული სუბსიდიები.

მოლაპარაკების შესახებ მრავალი კითხვა იბადება: იქნება თუ არა კამათი ხელფასისა და სამუშაო დროის შესახებ? აქნობამდის დაუქმებული მაღაროები—ყველა ამუშავდება თუ არა? ამჟამათ უმუშევრათ დარჩენილი 300.000 მემაღაროე მუშა მიღებულ იქნებ თუ არა ისევ წარმოებაში?

ეხლანდელი ხელფასი იქნება თუ არა მინიმუმათ აღიარებული, რადგან ის ბევრათ მცირეა ცხოვრების პირობებთან შედარებით.

მოლაპარაკების უკანასკნელ დღეებში მუშათა წარმომადგენლებმა ვერ გამოიჩინეს საკმაო სიმტკიცე ხელფასის საკითხებში, რომ ის შეფარდებულ იყვეს ცხოვრების სიძვირესთან. აქ ეტყობა საშწუხარო გავლენა მუშათა პარტიის რეფორმისტებისა.

ბოლო დღეებში კი მემაღაროეთა ხელმძღვანელებს მაინც ეტყობათ გამოფხიზლება და ფიქრობენ—ისევ მტკიცედ დაიცვან თავიანთი ძველი მოთხოვნილება.

ჩვენ ამ ჟამათ ვხედავთ კონფლიქტის დროებით მინელებას, რის დროსაც მუშათა კლასი არ უნდა მიეცეს თავმოტყუებას. მართალია, ბურჟუაზიამ ერთი ნაბიჯი გადასდგა უკან, მაგრამ მას თავი დამარცხებულათ არ მიაჩნია. ჩვენ არ უნდა ჩავაქროთ ბრძოლის ის ცეცხლი, რომელმაც სული ჩაუდგა მთელ მუშათა კლასს და უკან დაახევინა როგორც კაპიტალისტებს, ისე მათ ინტერესების დამცველ ბალდვინის მთავრობას.

ქ. დავიდ

ბრიანისა და ჩემბერლენის თათბირის შემდეგ

ინგლისის მთავრობამ მოიწონა ბრიანისა და ჩემბერლენის შეთანხმება

პასუხი გერმანიის ნოტაზე შემარიგებელი კილოთი იქნება შედგენილი

განზრახულია მოკავშირე სახელმწიფოების კონფერენციის მოწვევა გერმანიის მონაწილეობით

გერმანია მოითხოვს ამერიკისაგან ომის დროს კონფისკაცია ქმნილი ქონების დაბრუნებას

ინგლისის მთავრობამ მოიწონა შეთანხმება ჩემბერლენსა და ბრიანს შორის

ლონდონი, 13 ავგისტო. „რეიტერის" სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის მთავრობამ დღევანდელ სხდომაზე სავსებით მოიწონა შეთანხმება ჩემბერლენსა და ბრიანს შორის.

ნაბიჯი წინ თუ ნაბიჯი უკან?

ინგლისის პრესის გამოძახილი

13 ავგისტო. ინგლისის პრესა ეხება ბრიანის და ჩემბერლენის მოლაპარაკებას და შემდეგს სწერს:

„მორნინგ პოსტი" წერილში: „ნაბიჯი წინ" აღნიშნავს, რომ ინგლისის და საფრანგეთის თვალსაზრისი მოლაპარაკების შემდეგ ძალიან დაუახლოვდა ერთმანეთს. გაზეთი ფიქრობს, რომ ჩემბერლენმა წინადადება მისცა ბრიანს გაუწიოს ანგარიში იმას, რომ ინგლისის მთავრობას არ შეუძლია იკისროს ვალდებულება გერმანიის აღმოსავლეთის საზღვრების საკითხში, ვინაიდან ეს გამოიწვევდა მცხოვრებთა უმრავლესობის უკმაყოფილებას.

„ტაიმსი" აღნიშნავს რა მოლაპარაკებით დამთავრებას, აცხადებს, რომ საგარანტიო ხელშეკრულებას ეძლევა ახალი მომავლის პოლიტიკური პროგრამის ხასიათი. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ მოლაპარაკების დროს ბრიანს არ გამოუჩენია მიდრეკილება მსხვერპლად შეეწირა საფრანგეთის ინტერესები, მაგრამ მეორეს მხრივ არც ჩემბერლენი წასულა დათმობაზე საფრანგეთის მიმართ.

გარეშე საქმეთა სამინისტროსთან ახლო მდგომი „დეილი ტელეგრაფი" აცხადებს, რომ ბრიანის შეთანხმება ჩემბერლენთან მიღწეულია იმ პირობით, რომ ორივე სახელმწიფოს მთავრობებს აქვთ უფლება შეიტანონ ცვლილება გერმანიის მთავრობისათვის გასაგზავნ საპასუხო ნოტის პროექტში. გაზეთი აცხადებს, რომ საბოლოო [illegible]კებმა ჯერ კიდევ წინ არის, ვინაიდან იმ პირობების საკითხი, რომლის [illegible] ინგლისმა ფაქტიურად უნდა მიიღოს მონაწილეობა ომში და აგრეთვე საკითხი გერმანიის აღმოსავლეთის საზღვრების უზრუნველყოფის შესახებ, გადაუჭრელი დარჩა.

„დეილი ტელეგრაფის" დიპლომატიური კორესპონდენტი, ეხება რა გერმანიის აღმოსავლეთის საზღვრებს სწერს, რომ ბრიანის და ჩემბერლენის მოლაპარაკებიდან ნათლად გამოირკვა, რომ თუ ადგილი ექნება აშკარა თავდასხმას რომელიმე ამ ქვეყანაზე საფრანგეთს და გერმანიას ექნებათ უფლება დაიწყონ სამხედრო მოქმედება და არ უცადონ ერთა ლიგის ნებართვას.

„მანჩესტერ გარდიენი" წერილში „ნაბიჯი უკან" სწერს, რომ არა ოფიციალური ცნობა მოლაპარაკების შედეგების შესახებ იწვევს აურზაურს რამდენადაც შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩემბერლენი წავიდა უფრო მეტ დათმობაზე ბრიანისადმი, ვიდრე მას ჰქონდა ამის უფლება. გაზეთის აზრით საგარანტიო ხელშეკრულება შედგენილი იქნება იმის და მიხედვით თუ როგორ ესმის საფრანგეთს ვერსალის ხელშეკრულება.

„ჩემბერლენის პოლიტიკაო,—სწერს გაზეთი, ხელს კი არ უწყობს ერთა ლიგის ავტორიტეტის ზრდას, არამედ ძირს უთხრის მასო".

ბრიან-ჩემბერლენის მოულოდნელი ლმობიერება

პარიზი, 13 ავგისტო. ჰავასის სააგენტო იუწყება ლონდონიდან, რომ ცნობა თითქოს ჩემბერლენს და ბრიანს განზრახული ჰქონდეთ თავზე მოახვიონ გერმანიას მათ მიერ შემუშავებული საგარანტიო ხელშეკრულების პროექტი—სინამდვილეს არ შეეფერება. „არც ერთს მინისტრს—ამბობს სააგენტო—სახეში არ ჰქონია ასეთი რამ. მათი განზრახვაა განიხილონ პროექტი გერმანიასთან ერთად და სრულიადაც არ ფიქრობენ აიძულონ გერმანია ხელი მოაწეროს მათ მიერ შემუშავებულ პირობებზე. შემუშავებული ნოტა, რომლითაც გერმანიას იწვევენ მოსალაპარაკებლად მოკავშირეებთან, შედგენილია მშვიდობიანი ტონით და აშკარად ცდილობს შექმნას შეთანხმების შესაძლებლობა".

ინგლის-საფრანგეთის საპასუხო ნოტა

ლონდონი, 13 ავგისტო. რეიტერის" სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის ნოტა გერმანიისადმი საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ, რომლის გარშემო მოხდა შეთანხმება ბრიანსა და ჩემბერლენს შორის შედგენილია შემარიგებელი კილოთი ნოტაში გამოთქმულია სურვილი, რათა, მოწვეული იქნას ანტანტის სახელმწიფოების და გერმანიის კონფერენცია.

ნოტის ტექსტი ეცნობება იტალიის, ბელგიის და იაპონიის მთავრობებს, რის შემდეგ იგი გაიგზავნება ბერლინში.

ბრიანის საუბარი ჟურნალისტებთან

პარიზი. 13 ავგისტო ჟურნალისტებთან საუბრის დროს ბრიანმა სრული კმაყოფილება გამოსთქვა მის და ჩემბერლენის შორის მომხდარ თათბირის შედეგების შესახებ და განაცხადა, რომ ის დაუყოვნებლივ წარუდგენს მთავრობას მოსაწონებლათ გერმანიისათვის გასაგზავნ საპასუხო ნოტას საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ, რომელიც მაშინათვე გადაეცემა განსახილველათ მოკავშირე მთავრობებს.

ლონდონის თათბირის შედეგების შესახებ

გერმანიის პრესა

ბერლინი, 13 ავგისტო. საგარანტიო ხელშეკრულების მომხრე გერმანული პრესა არაფერს არ ამბობს ჩემბერლენის და ბრიანის თათბირის შედეგებზე.

„ბერლინერ ტაგებლატი" აღნიშნავს, რომ ჩემბერლენმა და ბრიანმა დაამახინჯეს გერმანიის წინადადებათა აზრი საგარანტიო ხელშეკრულების განსახილველად კონფერენციის მოწვევის შესახებ.

ნაციონალისტების ორგანო „დოიჩე ტაგესცეიტუნგი" აღნიშნავს, რომ ლონდონის თათბირი ამტკიცებს, რომ ჯერ კიდევ არ დამდგარა მომენტი საგარანტიო ხელშეკრულების დადებისათვის. მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოკავშირე-მთავრობები ანგარიშს გაუწევენ გერმანიას.

საფრანგეთის პრესა

პარიზი, 13 ავგისტო. მთავრობის და ფართო ინფორმაციის პრესა საერთოდ ოპტიმისტურად უყურებენ ბრიანისა და ჩემბერლენს შორის მომხდარ თათბირის შედეგებს და აღნიშნავენ, რომ, როგორც სჩანს, ძირითადი დაბრკოლებანი მოგვარებულია.

„ეხო დე-პარი" და დანარჩენი ოპოზიციონური პრესა უკმაყოფილო არიან და აცხადებენ, რომ საფრანგეთი უკან იხევს საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ დაწყებულ მოლაპარაკებაში.

გერმანიის ნოტა ამერიკისადმი

ვაშინგტონი, 13 ავგისტო. გერმანიის მთავრობამ ამერიკას გაუგზავნა ნოტა, რომელშიაც სთხოვს მას დაუბრუნოს ომის დროს კონფისკაციაქმნილი საკუთრება, რომლის ღირებულება აღწევს 350 მილიონ დოლარამდი. ნოტა ასაბუთებს თხოვნას კონგრესის რეზოლიუციით, რომელიც შეტანილია გერმანიასა და ამერიკას შორის დადებულ საზავო ხელშეკრულებაში. რეზოლიუცია ითვალისწინებს, რომ ამერიკის მთავრობა დაიტოვებს საწინდრათ გერმანიის კონფისკაციაქმნილ საკუთრებას, სანამ გერმანია არ მიიღებს საჭირო ზომებს ამერიკელ მოქალაქეთა კერძო პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად (პრეტენზიები შეეხება ომის დროს მიყენებულ ზარალის ანაზღაურებას). ნოტა აღნიშნავს, რომ ეს ზომები მიღებულია ლონდონის ხელშეკრულებით დოუესის გეგმის შესახებ.

დამოკიდებულება ინგლისთან

საუბარი ფედოტიევთან

ლონდონი, 13 ავგისტო. „მანჩესტერ გარდიენი" ათავსებს საუბარს საბჭოთა საფეიქრო მრეწველობის დელეგაციის წარმომადგენელ ფედოტიევთან.

ფედოტიევმა განაცხადა, რომ გერმანიაში დელეგაციას საშუალება ჰქონდა დარწმუნებულიყო იმაში, რომ გერმანიის მრეწველები მზად არიან მისცენ საბჭოთა კავშირს ხელსაყრელ პირობებში და გრძელვადიანი სესხი. დელეგაცია უფრო მეტის ხალისით მისცემდა შეკვეთას ინგლისში, ვინაიდან საბჭოთა კავშირის საფეიქრო ფაბრიკები მოწყობილია ინგლისური მანქანებით, რომელსაც მუშები შეეჩვიენ. საბჭოთა საფეიქრო მრეწველობას შეუძლია შეუკვეთოს ინგლისს 5 მილიონი გირვ. სტერლინგის განახლებული მანქანები გადაზიდვით ერთი წლის განმავლობაში. დელეგაციამ მიიღო წინადადება რამდენიმე ფირმიდან განაახლონ სავაჭრო ურთიერთობა.

რეზინის ნაწარმოების გასაღება

ლონდონი, 13 ავგისტო. საბჭოთა მთავრობის აგენტებმა ლივერპულის ფირმასთან დასდვეს ხელშეკრულება რეზინის ნაწარმოების მიწოდების შესახებ.

ჩეხიის „ოხრანკის" პროვოკაცია

„იზვესტია"-ს წერილი

მოსკოვი. 13 ავგისტო. „იზვესტია" მოწინავე წერილში ასეთი სათაურით სწერს:

„მხოლოდ ამ დღეებში „იზვესტია" ახასიათებდა სიცრუის და ცილისწამების კამპანიას, რომელსაც აწარმოებს ჩეხიის ბურჟუაზიული პრესა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ კამპანიამ, რომელმაც მისამართი შესცვალა, მიიღო უფრო კონკრეტული ფორმები. ბრალი ედება უკვე არა საბჭოთა კავშირის მთავრობას, არამედ კომინტერნს იმაში, რომ მან მოაწყო თავდასხმა ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტ მასსარიკზე.

მართალია ჩვენ კომინტერნის ორგანო არა ვართ, მაგრამ სრული უფლება გვაქვს აღვნიშნოთ, სადამდე შეუძლია მივიდეს ბურჟუაზიული პრესა მომავალ არჩევნების შიშით.

კომინტერნის პარტიების განვითარების 6 წლის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომელიც შეიძლებოდა მიგვეჩნია პოლიტიკური ტერორის გამოხატულებათ. არასოდეს და არსად, არც პოლიტიკურ და ტაქტიკურ რეზოლიუციაში, კომინტერნის არც ერთ პარტიას არ გამოუთქვამს აზრი, რომ ინდივიდუალური ტერორის საშუალებით შეიძლება კაპიტალისტური მთავრობის დამხობა ან მისი იმდენად შერყევა რომ გაადვილებული იქნას აჯანყება.

კომუნისტებს არავითარი საქმე არ აქვთ მასსარიკთან და ამიტომ მტკიცება იმისი, რომ კომუნისტური პარტია ამზადებდა თავდასხმას მასსარიკზე, ან ფიქრობდა ასეთ თავდასხმაზე, არის სპეკულიაცია ამომრჩევლის სიბრიყვეზე.

ჩეხიის კომპარტია, ალბად, შესძლებს იერიშების მოგერიებას და გაფანტავს იმ ატმოსფერას, რომელსაც მის გარშემო ქმნიან მისი მტრები. მტრების და მოღალატეების, კაპიტალისტების ცდა—ამაოა. უნაყოფო იქნება აგრეთვე ცდა პორების ახალი კამპანიის წყალობით გადასდონ ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკის მიერ საბჭოთა კავშირის იურიდიულათ ცნობა".

ოთხი კითხვა

ახალგაზრდობის ყვითელ ინტერნაციონალს

მოსკოვი, 14 ავგ. ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომმა ღია წერილით მიმართა ახალგაზრდათა სოც. ინტერნაციონალის აღმასკომს, სადაც პასუხს მოითხოვს ოთხ შემდეგ კითხვაზე: 1) რას ფიქრობს ახალგაზრდათა სოც ინტერნაციონალი ახალგაზრდა მუშების ბრძოლის შესახებ იმპერიალისტურ ომის საშიშროების წინააღმდეგ? 2) როგორ ფიქრობს გააცნოს ახალგაზრდა მუშებს სრული ჭეშმარიტება საბჭოთა კავშირის შესახებ? 3) როგორ უნდა დაიცვან ახალგაზრდა მუშების ეკონომიური და უფლებრივი მოთხოვნილებანი? 4) როგორ უნდა ებრძოლოს პროლეტარული ახალგაზრდობა თეთრ ტერორს?

რომ გაქარწყლებულ იყვეს სოც. პრესის მიერ გავრცელებული ხმები, თითქოს პროლეტარულ ახალგაზრდობას სდევნიან რუსეთსა და საქართველოში, ახალგაზრდათა კომინტერნი წინადადებას იძლევა, მოაწყონ ახალგაზრდა მუშების დელეგაციების გამოგზავნა საბჭოთა კავშირში სინამდვილის გასაცნობათ.

მოწვევა საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 14 ავგისტო. კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია საბჭოთა კავშირში საფრანგეთის, გერმანიისა და ავსტრიის მუშა დელეგაციები.

დელეგაციების შემადგენლობაში შესაძლებელია შევიდნენ სოციალისტური კავშირების კომკავშირელთ წევრები, ახალგაზრდა უპარტიო მუშები და მოზარდნი.

ორშაბათს, 17 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, თბილისის აღმასკომის დარბაზში დანიშნულია თბილისის

აღმასკომის პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი.

1. მოხსენება თბ. მაზრაში კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ.
2. მოხსენება საზოგადო სამუშაოების მსვლელობის შესახებ.
3. მიმდინარე საკითხები.

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე

პრეზიდიუმი

2—1 ნ. 1619

ინგლისში მდგომარეობა კვლავ გამწვავდა

ლონდონი, 13 აგვისტო. ნახშირის მრეწველობის მდგომარეობის გამორკვევა დროებით შეფერხდა.

სამთო-მადნო მუშათა ფედერაციის წარმომადგენლებმა განუცხადეს შრომის მინისტრის ამხანაგს ლენფოქსს, რომ მათ არ მოსწონთ კომისიის პირადი შემადგენლობა და მოითხოვენ სათათბირო ხმის უფლებას. ლენფოქსმა უარჰყო ეს მოთხოვნილება.

ამის გამო უნდა გაიმართოს თათბირი ბოლდუინსა და სამთო მადნო მუშათა წარმომადგენლებს შორის.

ფედერაციის მდივანმა კუკმა დღეს განაცხადა, რომ თუ სამთო-მადნო მუშათა წარმომადგენლები არ იქნებიან შეყვანილი კომისიის შემადგენლობაში, ისინი არასოდეს არ დასთანხმდებიან, რომ კომისია შედგენილი იქნას იურისტებისა, მრეწველებისა, ეკონომისტებისა და პოლიტიკოსებისაგან. „ჩვენ გვინდა სთქვა მან—ნახშირის მრეწველობის მდგომარეობის კეთილსინდისიერი გამოკვლევა ისეთი კომისიის მიერ, რომელშიაც წარმოდგენილი უნდა იყოს ორივე მხარე“.

სამთო-მადნო მუშათა წარმომადგენლების შეხვედრა ბოლდუინთან მოსალაპარაკებლად კომისიის პერსონალურ შემადგენლობის შესახებ არ მოხდა.

საღამოს პრესის ცნობით მთავრობის დღევანდელ სხდომაზე გადასწყდა უარი ეთქვას სამთო-მადნო მუშებს მოთხოვნილებაზე კომისიაში მუშათა წარმომადგენლების მონაწილეობის შესახებ.

ეს გადაწყვეტილება ჯერ ოფიციალური არ არის.

„ჰინდენბურგის წყალობა“

ბერლინი, 13 აგვისტო. რეიხსტაგის მიერ მიღებული ამნისტია დემოკრატიული პარტიის ორატორების განცხადებითაც კი ხელსაყრელია მხოლოდ კონტრ-რევოლიუციონერებისათვის.

კომუნისტური ფრაქციის ყველა წინადადებანი უარყოფილია.

კომუნისტურმა ფრაქციამ განაცხადა, რომ პოლიტიკურმა პატიმრებმა რომლებზედაც ამნისტია ვრცელდება, წინადადება მისცეს კომუნისტ დეპუტატებს არ მისცენ ხმა ნაწილობრივ ამნისტიას, ვინაიდან ისინი დასტოვებენ ციხეს მხოლოდ სხვა პოლიტიკურ პატიმრებთან ერთად.

კომუნისტური ფრაქცია განაგრძობს ბრძოლას სრული ამნისტიისათვის.

აღმოსავლეთში

სირიაში

დამოუკიდებლობას მოითხოვენ

ალექსანდრია, 13 აგვისტო. საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელს, ბრიუნეს, ალეპოში (სირია) ყოფნის დროს, მუშათა დელეგაციამ წარუდგინა შემდეგი მოთხოვნილებანი: გადასახადთა შემსუბუქება, შრომის დაცვა, სასწავლებლების გახსნა, მოხელეთა ბოროტმოქმედების აღკვეთა; დელეგაციამ წარადგინა, აგრეთვე, მოთხოვნილება სირიის დამოუკიდებელ რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ.

პროვინცია ჰაურანის დელეგაციამ საფრანგეთის უმაღლეს კომისარს სირიაში წარუდგინა მოთხოვნილება საფრანგეთის სამფლობელოებიდან ჰაურანის გამოყოფისა და მისი დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადების შესახებ.

არაბეთი

ინგლისელების წინააღმდეგ

ალექსანდრია, 13 აგვ. ინგლისელების მიერ ქალაქ აქაბის დაკავებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მთელს არაბეთში. ბედუინთა ტომები სასტიკ პროტესტს აცხადებენ ამ ძალადობის წინააღმდეგ და იმუქრებიან დაცემით გოჯასის რკინის გზის სამხრეთ ნაწილზე იმ შემთხვევაში, თუ მას დაიკავებენ ინგლისელები. საპროტესტო მოძრაობა ვრცელდება, აგრეთვე, ტრანსიორდანიისა და პალესტინის არაბთა ტომებზედაც.

მოძრაობა საბჭ. წყობილების სასარგებლოთ არაბეთში

ალექსანდრია, 13 აგვ. ტრანსიორდანიის ჩერქეზთა მრავალრიცხოვან ახალშენებში დაიწყო ფართე მოძრაობა მათი საბჭოთა კავშირში ჩამოსახლების სასარგებლოდ, რადგან ჩერქეზები იქ სარგებლობენ სრულ ეროვნულ თავისუფლებით.

ტრანსიორდანელ არაბთა შორის ფართოვდება არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ მიმართული რევოლიუციონური მოძრაობა. არაბები მოითხოვენ საბჭოთა წყობილების შემოღებას. მთავრობამ მიიღო რეპრესიული ზომები ამ მოძრაობის წინააღმდეგ, დააპატიმრა მრავალი პროპაგანდისტი და გააძევა ისინი.

სხვა და სხვა ამბები

— **გადაფრენა პარიზი—ალეპპო.** ფრანგი მფრინავები პატო და პოლონი პარიზიდან გაფრინდენ ალეპოში (სირია).

— **ებრაელების დარბევა გრძელდება.** მთელს რუმინეთში გრძელდება ფაშისტების მიერ ებრაელების დარბევა. პოლეშტში და ფოკშანში გაძარცვეს ებრაელთა მრავალი სავაჭროები და სცემეს გამვლელ ებრაელებს. სოფლებში ვრცელდება ფაშისტური ფურცლები. რომლებშიც გლეხებს მოუწოდებენ ებრაელთა დარბევისაკენ.

— **ციხიდან გაქცევა.** ცნობილი კომუნისტი ჩაპიჩი, რომელსაც 3-ნახ. წლით კატორღაში მუშაობა ჰქონდა მისჯილი, გაიქცა ზაგრების (სამხრეთ სლავია) ციხიდან.

— **ბესარაბიაში სიმშილობა ძლიერდება.** სიმშილობა ბესარაბიაში საშიშ ხასიათს იღებს. რუმინეთის მთავრობა იძულებულია გადადვას გადასახადების შეკრება იმ რაიონებში, რომლებიც მოუსავლობისა და წყალდიდობის გამო დაზარალდენ.

— **1840 კაცი.** ბულგარეთის მთავრობის ოფიციალურ ცნობით თეთრი ტერორის მსხვერპლთა რაოდენობა ბულგარეთში 1924 წლის განმავლობაში აღწევს 1840 კაცს.

— **ბელგიის მეღითონეთა გაფიცვა.** ბრიუსელის მეღითონეებმა დაადგინეს მოაწყონ რეფერენდუმი იმ კომპრომისული წინადადების გამო რომელიც სამედიატორო კომისიამ წარადგინა. ცენტრალურ რაიონის მეღითონეებმა დაადგინეს განაგრძონ გაფიცვა.

— **მთლიანობის კონფერენცია.** პარიზის რაიონის რევოლიუციონურმა პროფკავშირებმა მოაწყვეს მთლიანობის კონფერენცია, რომელსაც დაესწრო რევოლიუციონური პროფკავშირების 190 წარმომადგენელი, [illegible] 49 წარმომადგენელი და რეფორმისტული პროფკავშირების 35 წარმომადგენელი.

— **საბერძნეთში.** უკანასკნელ დღეებში დადის ხმები, რომ ოფიცრებს შორის დაიწყო მოძრაობა, რომელსაც ხელმძღვანელობენ პლასტირასის მომხრეები.

— **კომუნისტების დევნა.** კომუნისტური მოძრაობის გაცხოველების გამო საბერძნეთის მთავრობამ გააძლიერა კომუნისტების დევნა.

— **ბელგიის მეღითონეები განაგრძობენ გაფიცვას.** ბელგიის მუშათა უმრავლესობამ რეფერენდუმის დროს უარი სთქვა შუამავალი კომისიის წინადადებების მიღებაზე. გაფიცვა ლითონის მრეწველობაში გრძელდება.

— **უმუშევრობის ზრდა ინგლისში.** უმუშევართა რიცხვი ინგლისში უკანასკნელ კვირაში წინა კვირასთან შედარებით 62.000-ით გაიზარდა.

— **ბანკის მოსამსახურეთა გაფიცვა პარიზში.** მიუხედავათ იმისა, რომ თვით პრემიერმა პენლევემ იკისრა შუამავლობა, პარიზის ბანკები უარს ამბობენ გაფიცულ მოსამსახურეებთან მოლაპარაკებაზე. მაგრამ ისინი იძულებული იქნებიან დათმობაზე წავიდენ, ვინაიდან გაფიცულთა სულიერი განწყობილება მტკიცეა.

—**45 საათი ჰაერში.** ფრანგ მფრინავებმა დრენმა და ლანდრიმ დაამთავრეს განუწყვეტელი ფრენა, რომელიც გაგრძელდა 45 საათი, 11 წუთი და 59 წამ. ამ ხნის განმავლობაში მათ გაიარეს 4.400 კილომეტრი.

— **რევოლიუციონური პროფკავშირების გამარჯვება.** ჩეხო-სლოვაკიაში დამზღვევ კასებში არჩევნების დროს, რევოლიუციონური პროფკავშირების მომხრეებმა მიიღეს 3078 ხმა, სოციალ-დემოკრატებმა—1226, ეროვნ-სოციალისტების პარტიამ — 593.

— **ხოლერა იაპონიაში.** ქ. ნაგასაკში ხოლერა გაჩნდა.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ამხ. კოგან-ბერნშტეინის დანიშვნა.

მოსკოვი, 14 აგვისტო. საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილებით, ამხ. კოგან-ბერნშტეინი დაინიშნა სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის წევრათ.

ლენა-გოლდსფილდსის კონცესიის დამტკიცება.

მოსკოვი, 14 აგვისტო. საკავშირო სახკომსაბჭომ დაადგინა დაამტკიცოს ინგლისურ სასოგადოება „ლენა-გოლდსფილდთან“ დადებული ხელშეკრულება.

ჩინეთის ფოსტელები მოსკოვში.

მოსკოვი, 14 აგვისტო. მოსკოვში მყოფი ჩინეთის ფოსტა-ტელეგრაფის უწყების დელეგაციამ, რომელიც მიემგზავრება პარიზში საერთაშორისო რადიო-ტელეგრაფის კონფერენციაზე, დაათვალიერა დღეს მოსკოვის სატელეგრაფო-სატელეფონო დაწესებულებები და რადიო-სადგურები, რომლების კარგად დაყენებამ აღაფრთოვანა ისინი.

ბენზინი ინგლისს.

მოსკოვი, 14 აგვისტო. ნავთსინდიკატის ლონდონის განყოფილებამ რუსეთ-ინგლისის შერეულ საზოგადოება „ვოპ“ს მიჰყიდა 810 მილიონი ფუთი ბენზინი.

აფეთქება

ეკატერინოსლავი, 11 აგვისტო. ძერჟინსკის სახელობის დნეპრის ქარხანის ღუმელში აფეთქდა გადასადნობათ მოთავსებული ძველი გაფუჭებული ზარბაზნები, დაჭრილია 3 მუშა.

მუშათა დახმარების საერთ. კომიტეტის დელეგაცია

ლენინგრადში

ლენინგრადი, 14 აგვისტო. დღეს ჩამოვიდა ინგლისის პროფკავშირების და კოოპერატიულ ორგანიზაციების მიერ გამოგზავნილი მუშათა საერთაშ. დახმ. კომიტეტის დელეგაცია.

სტუმრებს მიესალმენ ლენინგრადის კოოპერაციის წარმომადგენლები და აღნიშნეს, რომ ინგლისელ ამხანაგების ჩამოსვლა კიდევ უფრო უმართავს ხელს მუშათა ერთიან ფრონტის შექმნას.

საპასუხო სიტყვაში დელეგაციის წარმომადგენელმა კარმაიკელმა განაცხადა, რომ ვერც ჩემბერლენისა და ვერც ბალდვინის ცდა ხელს ვერ შეუშლის მუშათა ერთიან ფრონტის შექმნასო.

მცირე შესვენების შემდეგ დელეგატებმა დაათვალიერეს ლენინგრადის სხვადასხვა კოოპ. ორგანიზაციები.

ლენინგრადი, 14 აგვ. როსტას წარმომადგენელთან საუბრის დროს დელეგაციის მეთაურმა ქალმა ენფილდმა განაცხადა, რომ მათი მოსვლის მიზანი არის—გაიცნონ, თუ როგორ მუშაობს საბჭოთა კავშირში კოოპერაცია და მ. ს. დ. კომიტეტი.

მ. ს. დ. ქ. დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 14 აგვ. 16 აგვისტოს მოსკოვში ჩამოვა მ. ს. დ. ქ. დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: ნაც. კოოპ. ლიგის მდივანი—ენფილდი, ლონდონის პროფკავშირთა საბჭოს მდივანი—დუნკან კარმეიკელი, მანჩესტერის პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე—მუნროე, დუნკასტერის პროფკავშირთა საბჭოს მდივანი—ფრანკ აირესი და მ. ს. დ. ქ. ფრანგულ სექციის მდივანი—დუტილე.

დელეგაცია დარჩება მოსკოვში 21 აგვისტომდის. შემდეგ წავლენ ნიჟნი ნოვგოროდსა ყაზანსა და სვერდლოვსკში. იქიდან ისევ დაბრუნდებიან მოსკოვში და იმავე დღეს გაემგზავრებიან დონბასში და როსტოვში.

უცხოელ მასწავლებელთა დელეგაცია

ლენინგრადი, 14 აგვისტო. უცხოელ მასწავლებელთა დელეგაციამ დაათვალიერა ერმიტაჟი, საზამთრო სასახლე და დასასვენებელი სახლები. დელეგატები გააკვირვა ერმიტაჟის მნახველთა მუშურმა შემადგენლობამ, რაც უჩვეულოა დასავლეთ ევროპისათვის. დელეგაციამ ინახულა სახ. გან საგუბერნიო განყოფილება, სადაც დაწვრილებით გაეცნო საბჭოთა სკოლების ორგანიზაციას, რის შემდეგაც, დაიყვნენ რა ჯგუფებად, დელეგატებმა დაათვალიერეს საბავშვო თავშესაფარები სტრელნასა, პეტერგოფსა და სესტრორეცკში.

აქციზის დაკლება ღვინოზე

მოსკოვი. 14 აგვისტო. საკავშირო სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება აქციზის დაკლების შესახებ ყურძნის, ქიშმიშის და ხილეულობის ღვინოებზე. აქციზი დამტკიცებულია შემდეგი სახით: 64 კაპ. ვედრო ღვინოზე—სიმაგრით არა უმეტეს 14 გრადუსისა; 1 მან. 60 კ. | არა უმეტეს 16 გრადუსისათვ, 3 მან. 20 კაპ. სიმაგრით არა უმეტეს 20 გრადუსი, 9 მან. 60 კაპ. შამპანიური ტიპის ღვინოებზე.

გადასახლების საქმე საქართველოში

გადასახლების საქმე წინეთ და ეხლა.—საქართველოში ზედმეტი მოსახლეობის რიცხვი უდრის 88.000 კომლს.—აქედან გადასახლებას საჭიროებს 50.000 კომლი.—გადასახლება დაიწყება მიმდინარე წლიდან.—ხუთი წლის განმავლობაში გადასახლებული იქნება 10.000 კომლი.

საქართველოს მთელი რიგი მაზრები მოსახლეობის სიდიდის გამო ყოველთვის განიცდიდა მიწის ნაკლებობას; საჭირო იყო ზედმეტი მოსახლეობის გადასახლება იმ რაიონებში სადაც უფრო მეტია თავისუფალი მიწები.

საქართველოს გასაბჭოებამდე ამ მტკივნეულ საკითხს არავითარი ყურადღება არ ჰქონდა მიქცეული. საბჭოთა ხელისუფლებამ თავიდანვე ყურადღება მიაქცია უმიწოწყლო გლეხების საჭიროებას, მაგრამ დღევანდლამდე პრაქტიკულათ ცოტა რამ გაკეთდა. უპირველეს ყოვლისა, თანხების უქონლობის გამო და მეორეც იმიტომ, რომ გამორკვეული არ იყო მიწების ახალი ფონდის შექმნის პერსპექტივა.

ეხლა კი ეს პერსპექტივები, და აგრეთვე იმ მთავარი პუნქტების სივრცე, რომლებიც საჭიროებენ სრულ განთავისუფლებას,— გამორკვეულია. ამასთანავე საბჭოთა კავშირი მატერიალურათ განმტკიცდა, ასე რომ ეხლა შეიძლება დაწყებული იქნეს გეგმაშეწონილი მუშაობა მოსახლეობის გადასახლების და დასახლების დარგში.

ვინ საჭიროებს გადასახლებას

საქართველოში არის 150.000 გლეხთა მეურნეობა, რომელთაც ერთ დესეტინაზე ნაკლები სახნავი მიწები და სათიბები აქვთ; რაც შეეხება ბაღებს და ძვირფასს კულტურებს, მათი სივრცე ამ მეურნეობებში დესეტინის ერთ მეათედ ნაწილზე ნაკლებია.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ახალქალაქის, ბორჩალოს და სიღნაღის მაზრების მცირე მიწებიან მეურნეობებს, რომლებსაც შეუძლიათ მიწები მიიღონ ამ მაზრებში არსებულ მიწის ფონდიდან, გორის მაზრის 2.000 კომლს, რომლებსაც შეუძლიათ მიწების მიღება ტირიფონის ველზე ამ უკანასკნელის მორწყვის შემდეგ და ბოლოს 351.000 კომლს დასავლეთ საქართველოში, რომლებსაც შეუძლიათ მიწების მიღება ფოთის ჭაობების ამოშრობის შემდეგ, მაშინ საქართველოს ზედმეტი მოსახლეობა განისაზღვრება 88.000 კომლით.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ რაოდენობიდან ნახევარს შეუძლია გარეშე სამუშაო იშოვოს, მაშინ ჩვენში დარჩება 45.000 კომლი, რომლებსაც არ აქვთ არც მიწა, არც არავითარი შემოსავალი და რომელთა დაკმაყოფილება მიწებით ადგილობრივ შეუძლებელია.

ამ რიცხვს უნდა დაუმატოთ ის პირები, რომლებიც სცხოვრობენ სრულიად გამოუსადეგარ მიწებზე, და აგრეთვე იმ ადგილებში მცხოვრები პირები, რომელთა განთავისუფლება აუცილებელია საერთო-სახელმწიფოებრივი მიზნით. მაშინ სხვა ადგილებში გადასასახლებელ ზედმეტი მოსახლეობის რიცხვი გამოიხატება 50.000 კომლში.

გადასახლების ხუთწლიანი გეგმა.

ამჟამად საქართველოში სრულებით არ არის მიწის ფონდი, სადაც შეიძლებოდა ზედმეტი მოსახლეობის გადასახლება, გარდა მცირე სივრცისა 1600 დესეტინამდე (ყარაიაზში), რომელზედაც შეიძლება დასახლებული იქნეს მხოლოდ 400 კომლი.

მაგრამ არის საშუალება მიღებული იქნეს მიწის ფონდი ორი გზით: 1) მიწების მელიორაციით და 2) აგრარული რეფორმის დამთავრებით.

მელიორაცია საქართველოს სოფლის მეურნეობას მისცემს 200.000 დეს. მიწას, მაგრამ ამ მიწების უმეტესობა მდებარეობს მჭიდროთ დასახლებულ რაიონებში, ასე რომ ის მოუნდება ადგილობრივი საჭიროებების დაკმაყოფილებას.

უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში გადასახლებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ 43.000 დესეტინა, რომელიც დააკმაყოფილებს 10.000 კომლს.

1925—26 წ. გადასახლებული იქნება 600 მეურნეობა; 1926—27 წ.—2.100 მეურნეობა; 1928—29 წ. 2.500; 1929—30 წ.—2.500. სულ ხუთი წლის განმავლობაში გადასახლებული იქნება 10.000 მეურნეობა.

პირველ რიგში გადასახლებული იქნებიან ის გლეხები, რომლებიც გამოუსადეგარ მიწებზე სცხოვრობენ. შემდეგ—მცირე მიწებიანი გლეხები. ამ ორი კატეგორიის გლეხების რიცხვი უდრის 3.500 კომლს და მათი გადასახლება დაიწყება უახლოეს ხანში.

პურის მარაგი ამიერ-კავკასიაში

საუბარი „ხლებოპროდუქტის“ ა/ქ. კანტორის გამგე—ამხ. მალიშევთან

მოსკოვიდან თბილისში დაბრუნდა სააქციონერო საზოგადოება „ხლებოპროდუქტების“ ამიერ-კავკასიის კანტორის გამგე ამხ. მალიშევი, რომელმაც ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს პურის მარაგის შესახებ ამიერ-კავკასიაში განაცხადა შემდეგი:

— ამჟამათ პურის მთელი ის მარაგი, რომელიც საჭიროა ამიერ-კავკასიისათვის, თავმოყრილია ბაქოში. საიმპორტო ფქვილის რეალიზაციის შემდეგ დაიწყო ხორბალის დაფქვა ბაქოს წისქვილებში. ხორბალის მარაგი საშუალებას იძლევა პური მივაწოდოთ ამიერ-კავკასიას შეუწყვეტლივ მიმდინარე წლის სექტემბრამდე.

ხორბალის დაფქვასთან ერთად, პურის შემოტანის გეგმის მიხედვით ხდება პურის გადმოტანა ჩრდილოეთ კავკასიიდან.

ამჟამათ გზაშია 100.000 ფუთი ხორბალი. ამას გარდა მიმდინარე თვეში გადმოტვირთული იქნება კიდევ 250 ათასი ფუთი.

ამასთანავე ხორბალის დიდი პარტია მიიღო სახელმწიფო ბანკმაც.

მომავალში, პირნახულის შეგროვების გაძლიერებასთან ერთად, სექტემბერში ამიერ-კავკასიაში მიღებული იქნება კიდევ ერთი მილიონი ფუთი პური.

პურის მთელი ამ რაოდენობით ამიერ-კავკასია მიმდინარე წელში არა მარტო დაკმაყოფილებული იქნება, არამედ დარჩება კიდევ ზედმეტი რაოდენობა. რომელიც გატანილი იქნება კერძო ბაზარზე.

შემდეგ ამხ. მალიშევმა განაცხადა, რომ სომხეთისათვის პურის პროდუქტების რეგულიარულათ მიწოდების მიზნით ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა გაიხსნას ერევანში „ხლებოპროდუქტის“ განყოფილება.

ეს დადგენილება ცხოვრებაში გატარებული იქნება სექტემბერში.

ბამბის მოსავალი ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტის საწარმოო პროგრამა წარსული წლის მოსავალის გასაღების მხრივ შესრულებულია 114,3 პროც., გეგმის მიხედვით განზრახული იყო 3,528,130 ფუთ ნედლი ბამბის გასაღება, ფაქტიურათ კი გასაღებულია 4.028.856 ფუთი: აქედან შესყიდულია: აზერბეიჯანში—3,232,503 ფუთი, სომხეთში—673,275 ფ. და საქართველოში—123 078 ფუთი.

ბამბის გაწმენდის და საფეიქრო მრეწველობის ბამბით მომარაგების გეგმაც აგრეთვე შესრულებულია უფრო მეტის პროცენტით, ვიდრე ნავარაუდევი იყო.

მართალია, ბამბის გაწმენდა ზოგიერთ რაიონებში თავის დროზე არ მოხდა, მაგრამ ამაში ბრალი არ მიუძღვის საბამბო ორგანიზაციებს. კერძოთ, ასეთ დაგვიანებას ადგილი ჰქონდა სომხეთში და ნახიჩევანის მხარეში, სადაც მამოძრავებელი მანქანების უვარგისობის გამო, საჭირო შეიქნა ნედლი ბამბის სარჯარაბდიდან და ნახიჩევანის მაზრიდან გასაწმენდათ ერევანში გადატანა, რამაც რამოდენიმეთ შეაფერხა მუშაობა.

რაც შეეხება თესვის კამპანიას, უნდა ითქვას, რომ სასტიკი ზამთრის გამო, რომელმაც დააზარალა ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, გლეხობამ სტიქიურათ მოკიდა ხელი ბამბის თესვას, რის გამო ზოგიერთ რაიონებში ბამბის ნათესების სივრცე ძალიან გაიზარდა.

გეგმის მიხედვით განზრახული იყო ბამბის დათესვა—აზერბეიჯანში—85.500 დეს., სომხეთში—15.000 დეს. და საქართველოში—5.700 დეს. ფაქტიურათ კი ნათესების სივრცე გამოიხატება, აზერბეიჯანში—107.665 დეს. (140 პროც.), სომხეთში—16.703 დეს (112 პროც.), ნახიჩევანის მხარეში—9.703 დეს. და საქართველოში—5.827 დეს. (102 პროც.).

მოსალოდნელია 5.572.000 ფუთი ნედლი ბამბის მიღება, რაც წარსული წლის მოსავალს აღემატება 32 პროცენტით.

იმ შემთხვევაში, თუ თავის დროზე იქნა შეგროვილი ბამბის მოსავალი გლეხთა მეურნეობებში, მაშინ შესაძლებელი იქნება სექტემბერში გასაღებული იქნეს მოსავლის 5 პროც., ოქტომბერში—30 პროც., ნოემბერში—35 პროც., დეკემბერში—20 პროც. და იანვარში—10 პროც.

აპარატი ადგილებზე და ქარხნები მიმდინარე წელში თავის დროზე იქნება მომზადებული, ასე რომ მუშაობის შეფერხებას ადგილი არ ექნება.

გარდა ბამბის მასალებისა, მიმდინარე წელში მიღებული იქნება ზომები ბამბის თესლის გამოსაყენებლათ. ამ მიზნით ერევანში და განჯაში შენდება ზეთის გამოსახდელი ქარხნები, რომელთა დატვირთვა განზრახულია მოყვანილ იქნეს 80 პროცენტამდე. ერევანის ქარხანა მზათ იქნება ნოემბერში, განჯის—თებერვლისათვის. ბამბის თესლიდან დამზადებული იქნება ზეთი, საპონი, მიწის გასანოყიერებელი საშუალებანი და სხვა.

მიმდინარე წელში ბამბის მოსავალი ამიერ-კავკასიაში, ზოგიერთი რაიონების გამოკლებით, საშუალოზე უკეთესი იქნება. განსაკუთრებით, ცუდ მდგომარეობაშია კლიმატიური პირობების მხრივ მუღანლო და მებამბეობის რაიონები კახეთში, სადაც წყლის ნაკლებობის გამო ბამბის ნათესები ხშირათ ხმება.

მდგომარეობა ახალ-ქალაქის მაზრაში

ახალქალაქის მაზრიდან დაბრუნდა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დანიშნული კომისია, რომელმაც დაჰყო ხსენებულ მაზრაში 15 დღე და ადგილობრივ გაარჩია და გადასჭრა ის საკითხები, რომლის გადაჭრა და მოგვარება მას დავალებული ჰქონდა უმაღლესი ორგანოების დადგენილების თანახმად.

უმთავრესი საკითხი, რომლის მოუწესრიგებლობა ადგილობრივ მცხოვრებლებში იწვევდა უკმაყოფილებას, შეეხებოდა საბალახოებისა და სათიბი ადგილების სივრცეს გადიდებას მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიწის ფონდიდან. არა გვგონია, რომ სადმე მოიპოვებოდეს მეორე ისეთი მაზრა, სადაც ისე აწეწილ-დაწეწილი იყოს მიწათმოწყობის საქმე, როგორც ეს არის ახალქალაქის მაზრაში. ვერ ნახავთ ვერც ერთს გლეხს, რომელიც არ ჩიოდეს მიწის უსამართლოთ განაწილებაზე, ვერ ნახავთ ვერც ერთ სოფელს, რომელიც ხმა მაღლა არ თხოულობდეს საბალახოს და სათიბ ადგილებს ვერ ნახავთ ვერც ერთ სოფელს, რომელიც არ ედავებოდეს ამ ნიადაგზე, მეორე სოფელს და სხვა.

მიწათმოქმედების კომისარიატის აგენტებს, როგორც სჩანს, აქ მექანიკურად ჩაუტარებიათ მიწის რეფორმა, მხედველობაში არ მიუღიათ ადგილობრივი პირობები, ფაქტიური მფლობელობა ცალკე სოფლებისა და ცალკე რაიონების მეურნეობის ინტერესები, მისი მომავალი განვითარება, ეხლანდელი საშინელი სიღატაკე და კულტურული ჩამორჩენილობა. აქედან წარმოიშვა უკმაყოფილება, რომლის ზრდასა და გაძლიერებას ხელი შეუწყო აგრეთვე მაშინდელი ადგილობრივი ხელისუფლების და ორგანიზაციის სათავეში მდგომი პირების სრულმა უმოქმედობამ და დაუდევრობამ. საბჭოთა საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებას ადგილობრივი მცხოვრებთა უმრავლესობის ენის ხმარების შესახებ (ამ შემთხვევაში სომხურ ენის) ცხოვრებაში არავინ ატარებდა. პირიქით სამაზრო აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე აძლევს საქმეთა მმართველს პირად განკარგულებას, რომ ამ უკანასკნელმა რუსულ ენაზე იქონიოს დამოკიდებულება მაზრის რაიონებთან და ამით თითქოს ხელოვნურათ იწვევს უკმაყოფილებას საბჭოთა საქართველოს მთავრობისადმი.

რაც შეეხება მაზრაში ეროვნებათა უმცირესობას: თათრებს, ქართველებს და სხვებს, ისინი ხომ სრულიად მივიწყებული იყვენ დღემდის და ყურადღებას არავინ აქცევდა.

არავინ იტკიებდა თავს ხალხთან მისულიყო და გაეცნო მისთვის საბჭოთა ხელისუფლების ბუნება, არავითარი წარმოდგენა უმრავლესობას არ აქვს ამ ხელისუფლებაზე, ვერ იცნობს მის დადგენილებს და, სიმართლე უნდა ვსთქვათ, არც პატივისცემით ეპყრობა მას; არ არსებობს დისციპლინა, ერთნაირი წესრიგი, რაიცა აუცილებელი პირობა არის ნორმალური მუშაობისთვის.

ზოგიერთი (უკაცრავად პასუხია) უღირსი კომუნისტების დაუდევრობით და უმოქმედობით ფეხს იკიდებს სხვადასხვა გადახრა, ნაციონალური შუღლისა და გაუტანლობის ნიშნები. ადგილობრივ შოვინიზმს გასავალი ეძლევა და სცენაზე სამკალათ გამოდიან ცნობილი დაშნაკური ელემენტები, რომლებიც უპატრონოთ დარჩენილ ხალხს თავის ნებასურვილზე ატრიალებენ და ალაპარაკებენ.

ისინი ჩუმი ინტრიგებითა და ათასგვარი მახინაციებით ცდილობენ ნდობა დაუკარგონ ხალხში საბჭოთა საქართველოს მთავრობას, სცდილობენ მის „შერცხვენას“. „ქართველს არ შეუძლია დაიცვას სომხის ინტერესები“, „თქვენ არაფერი გეშველებათ, ვინაიდან ცენტრში ქართველები სხედან“,—აი, რანაირ პროვოკაციას ეწეოდენ ხალხის მტრები. მერე რას ვშვრებოდით ჩვენ ამ დროს? რას და მიწათ-მოქმედების კომისარიატის აგენტები უხეშათ და თავხედურათ ატარებდენ მიწის რეფორმას, ადგილობრივი კომუნისტები ლოთობდენ და პილატესავით ხელს იბანდენ, „ნეიტრალიტეტს“ იცავდენ, ხოლო საგადასახადო აპარატები ხუთასი ათას მანეთა აწერდენ გადასახადს დანგრეულსა და გაღატაკებულ მაზრას.

ასე იყო დღემდის, მაგრამ ამას ბოლო უნდა მოეღოს ამიერიდან, ბოლო უნდა მოეღოს ზოგიერთი ჩვენი ორგანოების დაუდევრობას და უყურადღებობას ისეთი მაზრისადმი, როგორიც არის ახალქალაქის მაზრა. მას, როგორც არა ერთხელ განადგურებულს ომიანობის დროს, რამოდენიმე წლის განმავლობაში სისტემატიური, საგრძნობი დახმარება უნდა გაუწიოს მთავრობამ, რომ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შესძლონ დანგრეულ მეურნეობის აღდგენა. ყურადღება უნდა მიექცეს მეს ქონლეობის განვითარებას, მინიმუმდე უნდა შევუმციროთ გადასახადი და თავის დროზე მიეცეს კუთვნილი დოტაციები. იმ ამხანაგებმა, რომლებიც ამ ჟამათ ხელმძღვანელობენ მაზრაში მუშაობას, კარგათ უნდა შეიგნონ თავისი მოვალეობა. რასაკვირველია, მათ სჭირიათ ხელის შეწყობა, ცენტრი მათ ყოველ [illegible] უნდა [illegible] დაეხმაროს, რომ იმათ შესძლონ ორ[illegible] [illegible] შესრულება.

ხალხში უნდა გავრცელდეს სწავლა-განათლება, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს განათლების კომისარიატმა.

მიწით სარგებლობის საკითხთან ერთად ახალქალაქის მაზრაში მწვავეთ სდგას საკითხი აგრეთვე გზების ტყით სარგებლობისა და უწყლობის შესახებ. ზოგიერთი სოფლები პირდაპირ იხრჩვებიან უწყლობით და მოელიან მთავრობისაგან შველას. მცხოვრებლები მოითხოვენ აგრეთვე რკინის გზის გაყვანას. მთავრობა ეხლავე უნდა უნდა დაფიქრდეს ამაზე. ახალქალაქისა და ახალციხის მაზრა უნდა გამოვიყვანოთ იმ პირველ-ყოფილი მდგომარეობიდან, რომელშიაც ისინი დღეს იმყოფებიან ამოვიყვანოთ უნდა ბნელი, ნესტიანი, ვიწრო სოროებიდან მაღლა მზის შუქზე.

ყველა ადგილობრივ საჭირბოროტო საკითხების შესახებ უკვე გამოტანილია შესაფერი დადგენილებანი უმაღლესი ორგანოების მიერ. შესაფერი დადგენილებანი აქვს გამოტანილი აგრეთვე ხსენებულ კომისიასაც, რომელთაც განიხილავს და დაამტკიცებს სახალხო კომისართა საბჭო. სხვათა შორის, კომისიის დადგენილების თანახმად ადგილობრივ მცხოვრებლების სარგებლობაში გადადის 25.000 დესეტინა საბალახო, სათიბი და სახნავ-სათესი ადგილები აბულა სამსარის, თრიალეთის, აგბაბინსკის და ოკამის რაიონებში მიწათ-მოქმედების კომისარიატის ფონდიდან.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალი წლიდან არავითარ გაუგებრობას ამის შემდეგ ადგილი აღარ ექნება ახალქალაქის მაზრაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ წვრილმან სადაო საკითხებს, რომლებიც შეიძლება ყოველგან და ყოველთვის არსებობდეს. ეს იქნება საგრძნობი მიღწევა, ხოლო ამის აუცილებელი პირობა არის ერთის მხრით ადგილობრივ ხელისუფლების გულწრფელი და დაუღალავი მუშაობა, მეორეს მხრით იმ დადგენილების დაჩქარებით ცხოვრებაში გატარება, რომელიც გამოტანილი აქვს ახალქალაქის მაზრის შესახებ უმაღლეს ორგანოებს და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ უკანასკნელათ დანიშნულ კომისიას.

რაც შეეხება დაშნაკებს, ჩვენ იმათ ამის შემდეგ უნდა მოვეპყრათ ისე, როგორც ამას ამხ. ლენინი გვეკარნახებდა მენშევიკების შესახებ: ისინი ჩვენ უნდა შევინახოთ ფრთხილად გამასწორებელ სახლებში.

ა. დოლიძე.

პარტიული ცხოვრება

პარტუჯრედის აქტივის შესახებ

საკითხი პარტუჯრედის აქტივის შექმნის შესახებ ერთი მტკივნეული საკითხთაგანია. მტკივნეული იმიტომ რომ მრავალ ჩვენს უჯრედებში პარტაქტივის შექმნის საკითხთან დაკავშირებულია საკითხი ამ აქტივის მუშაობის ფორმების და მეთოდების შესახებ.

ყველასათვის ცხადია, რომ პარტიის წევრთა გონებრივი განვითარების დონე არ არის ერთგვარი. უჯრედებში გაერთიანებული და დარაზმული არიან როგორც მეტად აქტიური, ნაკლებ აქტიური ამხანაგები, ისე პასიური ელემენტებიც. სწორედ ამ ნიადაგზე პარტუჯრედებში ხდება წევრების დაყოფა ორ ნაწილად: ერთის მხრივ აქტივი, ხოლო მეორეს მხრივ პასივი.

მაგრამ აქ ისიც აღნიშნული უნდა იქნეს, რომ ასეთი მდგომარეობა აქაიქ, ზოგიერთ ალაგას, შედეგათ იწვევს მეტად არა ჯანსაღ, არანორმალურ მოვლენას.

საქმე იმაშია, რომ უჯრედების წევრთა ამნაირი დაყოფა ქმნის ერთგვარ გადახრას უჯრედებში ამჟამად არსებულ აქტივის ცალკე ორგანიზაციულად ჩამოყალიბების სახით. მაგალითად, განზრახვა, სურვილი აქტივისტებისათვის სპეციალური წრეების დაარსების შესახებ, წევრების „აქტივისტებათ“ არჩევა და სხვა.

რომ ასეთი გადახრა არსებობს ამისათვის საჭიროა თვალი გადავავლოთ ჩვენი პარტუჯრედების მუშაობას, რომ სავსებით დავრწმუნდეთ ზემოთქმულში. მაგრამ აქ უმთავრესი ის არის, რომ ამ გადახრას მიექცეს ფრიად სერიოზული ყურადღება, რათა ის ძირფესვიანათ აღმოფხვრათ.

რა არის ამისათვის საჭირო?

მართალია თვითეული უჯრედი მიისწრაფვის იქითკენ, რომ შექმნას თავის რიგებში მტკიცე აქტივი, ეს მეტად სიმპატიური აზრია და ეს ასედაც უნდა იყვეს. მაგრამ ეს იმ რიგად უნდა ხდებოდეს, რომ ერთგვარი დაპირდაპირება უჯრედის ერთ განსაზღვრულ ნაწილს და მეორე ნაწილს შორის არ იყვეს. თუ ჩვენ უჯრედში ამ ჟამად არსებულ აქტივისათვის დავარსებთ სპეციალურ წრეს, ცალკე მოვიწვევთ აქტივის კრებებს და სხვ.—მაშინ ასეთი დაპირდაპირება უეჭველია.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მტკიცე პარტაქტივის შექმნისათვის საჭიროა მჭიდრო კავშირი და ურთიერთობა უჯრედის ყველა წევრებს შორის. უჯრედში არიან პასიური ელემენტები, რომლებიც საჭიროებენ ამოძრავებას, ამოქმედებს ამ შემთხვევაში უჯრედის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სასურველად გადაჭრას ეს ამოცანა. მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს? უჯრედის აქტიური ამხანაგები ყოველ მხრივ გამოყენებული უნდა იქნან პასიური ამხანაგების აღმზრდელობითი მუშაობაში, პასიური ამხანაგები უნდა მიემაგრონ აქტიურ ამხანაგებს და ამასთანავე პირველი ჩაბმული უნდა იქნეს უკანასკნელის მიერ უჯრედის პრაქტიკულ სამუშაოებში.

გუშინ წინ ჩვენი გაზეთის პარტიული ცხოვრების განყოფილებაში მოთავსებული იყო შენიშვნა სათაურით: „უჯრედების პასიური ელემენტების შესახებ“, სადაც ავტორი ეხება, თუ როგორ შეიძლება უჯრედის პასიურ ელემენტები გავხადოთ აქტიურ ელემენტება და სხვათაშორის აღნიშნავს შემდეგს: „უჯრედი მოვალეა ხელი შეუწყოს პოლიტიკურად ჩამორჩენილ ამხანაგების გათვითცნობიერებას... ზოგ უჯრედებში უკვე თვითეულ აქტივისტთან მიმაგრებიათ პასიური წევრები, რომლებიც საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ გახდნენ აქტიური ელემენტებათ... სასურველია, რომ ასეთ სისტემას შემოიღებდნენ ყველა ჩვენი უჯრედები, რითაც დიდათ დაეხმარებიან სუსტ ამხანაგებს“ ი. ო.

საერთოდ ჩვენ ყოველგვარ ღონისძიებებს უნდა მივმართავდეთ, რომ უჯრედებში გამოცხოველდეს მუშაობა. რომ იქ ავამაღლოთ მასიური აქტივობა. კერძოთ კი ერთ ასეთ ღონისძიებათ მიჩნეული უნდა იქნას სუსტ ამხანაგების ძლიერ და მომზადებულ ამხანაგებზე მიმაგრება.

ასე რომ პარტაქტივის გაძლიერებისათვის საჭირო არის არა რაიმე ახალი ფორმების ძიება, არამედ საჭიროა არსებულით დაკმაყოფილება და მუშაობის კიდევ უფრო მეტად გაღრმავება ზემოაღნიშნულის საშუალებით.

ე—ა.

წერილები ადგილებიდან

საჭიროა მეტი ყურადღება

როგორც საერთოდ აღმოსავლეთი საქართველო, ისე კერძოდ თელავის მაზრა საგრძნობლად ჩამორჩენილია კულტურული განვითარებით არავისათვის დასამალი არ არის არც ის, რომ ჩვენ სოფლად ძლიერ ნაკლებად მოგვეპოვებიან შეგნებული, მომზადებული და წერა-კითხვის კარგად მცოდნე ამხანაგები. ჩვენი სოფელი გამოღვიძების გზაზეა დამდგარი, ის ახალ ცხოვრებას იწყებს, საჭიროა ამ დარგში მომუშავენი, მაგრამ, სამწუხაროთ, ასეთები კი არა გვყავს. მართალია, დღეს თელავის მაზრა მრავალი სკოლებით მოფენილია, მაგრამ სანამ ამ სკოლებში მოსწავლე ახალგაზრდობა გამოადგებოდეს ჩვენ სოფელს, მანამ საჭიროა დიდი დრო. დარჩა პირველი და მეორე საფეხურის პარტსკოლები, რომლებიც მოკლე დროში აძლევენ სოფელს ასე თუ ისე მომზადებულ მუშაკებს, აი სწორედ ამისათვის ეძლევა ამ ტიპის სკოლებს მეტად დიდი მნიშვნელობაც. მომავალ სასწავლო წლიდან თელავის მაზრას დათმობილი აქვს თბილისში პირველ საფეხურის პარტსკოლაში 12 ადგილი, ხოლო მეორეში 4. მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ ეს რიცხვი ძლიერ მცირეა. თელავის პარტკომთან შემდგარი კომისია ორი დღე აწაწილებდა ამ ადგილებს. მთხოვნელთა რიცხვი აუარებელი იყო და ადგილი კი სულ 16. საჭიროა ამ გარემოებას ცენტრმა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება. კერძოდ კი ცენტრს მართებს ისეთ ჩამორჩენილ მაზრებს როგორიც თელავია მეტი ადგილი დაუთმოთ. სხვა რომ არაფერი იყოს ამას მოითხოვს ლოზუნგი „პირი სოფლისაკენ“.

პარტკორი ვ. ნ-ლი.

ქალთა შორის მუშაობა ზუგდიდის მაზრაში

ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ქალთა შორის მუშაობა ზუგდიდის მაზრაში მოისუსტებს, არის ადგილობრივი ქალთა განყოფილების გამგის სათანადო მოუმზადებლობა. სწორედ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია სამაზრო კომიტეტმა და ქალთა განყოფილების გამგეს დღეს სისტემატიურად უგზავნის სამუშაო ინსტრუქციებს, აძლევს დირექტივებს, აგზავნის მომზადებულ ამხანაგებსაც მის განკარგულებაში- ამ ბოლო დროს ქალთა განყოფილებამ სხვადასხვა რაიონებში ჩაატარა უპარტიო ქალთა კრებები, რომლებზედაც მივლინებულ ამხანაგების მიერ იკითხებოდა მოხსენებები ქალთა შორის მუშაობის ამოცანების და მნიშვნელობის შესახებ. სადელეგატო კრებები იმართება მხოლოდ ზუგდიდის, ხობის და დარჩელის რაიონებში, სადაც ორგანიზაციულად გაერთიანებულია 185 დელეგატი-ქალი. ჩხოროწყუს და ახალ-სენაკის რაიონში დაარსებულია 12 ქალთა პოლიტ-წრე, რომლებშიაც მეცადინეობს 235 ქალი. წალენჯიხის და ლიის რაიონში კი არის ერთი ქალთა წრე, სადაც ირიცხება 30 ქალი. თვით ქ. ზუგდიდში ქალთა განყოფილების მიერ გახსნილია ქალთა კუთხე და ორი თავშესაფარი ბინა, რომელთაც ყავთ თავისი გამგეობა. ქალთა შორის წერა-კითხვის უცოდინრობის მოსასპობად მაზრაში არსებობს 7 სალიკვიდაციო სკოლა, სადაც სამწუხაროთ მეცადინეობა მიმდინარეობს ძლიერ სუსტათ. მიზეზი ამისა კი ის არის, რომ გლეხი-ქალები ამ ზაფხულის პერიოდში მეტად არიან ჩაბმული ოჯახურ მუშაობაში. მომავალში უნდა ვიმედოვნოთ, რომ ადგილობრივად უფრო გამოცხოველდება ქალთა შორის მუშაობა. სხვათაშორის ამის თავდებია ისიც, რომ ამას წინად ქალთა განყოფილებას სათავეში ჩაუდგა გამოცდილი და მომზადებული ამხანაგი.

პარტკორი მეთვალყურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

ზარიჟრაჟზედ.

გარიჟრაჟდა... ცისა ჰეტრატს
გადაეკრა ალის ფერი;
მის ფერდოებს ავარაყებს
მზის სხივები, საყვარელი.

—

აქ ჩიტუნამ გაიღვიძა,
აქ ბულბულმა იწყო სტვენა
და საყვირმაც თვის ჰანგები
მოჰქსოვა, შეუფერა...

—

ამეტყველდა გრდემლ-ჩაქუჩი,
დაზგამაც იწყო მღერა;
ცეცხლშიც რკინებს საბერველმა
თვის სიმძლავრით დაუბერა...

—

სოფლად გლეხი ყანებისკენ
თოხ-ნამგლებით გაეშურა,
ქარხნებში კი საყვარელი
ბრწყინავს, ელავს შრომის ქურა...

—

ქალაქს—მუშა, სოფლად—გლეხი,
აქ ჩიტუნა, იქ ბულბული;
ირკვევა მშრომელთათვის
ერთმანეთის სიყვარული.

მუშკორი ტაბაკიძელი.

—

„ნაციონალიზაცია"(?)

(მუშის შენიშვნა).

— გამარჯობა, კიკოლიკა!—მივესალმე ერთ ნაცნობ მუშას, რომელიც ნელი ნაბიჯით მიდიოდა ქუჩაზე და თან დუქან-მაღაზიების აბრებს (ვივესკებს) ათვალიერებდა.

— გაგიმარჯოს,—მომიგო მან.

— რას ათვალიერებ?

— აბრებს ვათვალიერებ, ქართული ენა მინდა შევისწავლო საფუძვლიანად...

— აბრებიდან?!

— დიაღ, აბრებიდან... რად გაგიკვირდა?

— აბრებიდან როგორ უნდა შეისწავლო ქართული ენა?

— მშვენივრად... აი, მაგალითად, აბრაზე სწერია რუსულად—„мясоторг", იმის წინ კი ქართული ასოებით სწერია „მიასოტორგ". მაშასადამე, აქედან სჩანს, რომ სიტყვა „მიასოტორგ" მარტო რუსული არ ყოფილა, არამედ ამავე დროს იგივე სიტყვა ქართულიც არის... მე კი წინად „მიასოტორგ" ქართულად „ხორცით ვაჭრობა" მეგონა...

ვეცადე დამერწმუნებინა მეგობარი აბრის შეცდომაში, მაგრამ კიკოლიკა ამაზე გაჯავრდა და შემომიტია:

— აბა ამის დამწერს არაფერი სცოდნია, სულელი ყოფილა!..

— სულელი კი არა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მას „ნაციონალიზაცია" თავისებურად ესმის. მას ჰგონია, რომ საკმარისია რუსული სიტყვა ქართული ასოებით დავწეროთ და ეს არის, ამაშია „ნაციონალიზაციაო"...

კიკოლიკა დაფიქრდა. ეჭვიანად შეხედა იქვე დაკიდულ უშველებელ აბრას, რომელზედაც ქართული ასოებით ეწერა „გრუზგოსტორგ", გამოათურთხა და გზას გაუდგა.

მუშა ნიკო ახ—ლი

გერმანიის მუშათა დელეგაცია წალვერის დასასვენებელ სახლში.

9 აგვისტოს, სრულ 4 საათზე, წალვერის დასასვენებელ სახლებს ესტუმრენ გერმანელი მუშები: დელეგატები ჰანს ზეკის მეთაურობით. დელეგაციას თან ახლდა ამხ. ს. დოლიძე, როგორც თარჯიმანი, არაქელა ოქუაშვილი და გიორგი ყურულაშვილი. განუსაზღვრელი სიყვარული, რომელიც გამოიხატა გერმანელ დელეგატთა წალვერის დასასვენებელ სახლების დათვალიერებით, ყველა ჩვენთაგანში იწვევს იმ იმედებს, რომელიც მუშათა კლასს მიიყვანს ერთიანი ფრონტის შესაქმნელად.

მიუხედავად დელეგატთა დაქანცულობისა, ისინი მაინც მკვირცხლად ათვალიერებენ ყველაფერს და გაოცებულნი არიან მით, რომ ოქტომბრის რევოლიუციამ საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასსაც მიანიჭა დასვენების უფლება იმ სახლებში, რომლებშიაც 5—6 წლის წინად მხოლოდ ბურჟუაზია იყო მოკალათებული და მუშებს სიზმარშიაც არა ჰქონდათ წარმოდგენილი, თუ რა არის დასასვენებელი სახლები.

დელეგატების მთელი შემადგენლობა პირველად სამკითხველოს ესტუმრა. მათ თან ახლავს გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს თანამშრომელი ამხ გეზა გოლდი, რომელიც გერმანულად დაწვრილებით აცნობს ყველა იმ მიღწევებს, რაც გაკეთებულა საბჭოების დროს მუშათა ჯანმრთელობისათვის.

ამხ. ს. დოლიძე უხსნის დელეგატებს, რომ დასასვენებელ სახლებში უმრავლესობა მუშებია დაზგებიდან. დოლიძეს ხმა წასვლია, მაგრამ მოზღვავებულ დამსვენებლების სიყვარულს გერმანელებისადმი მაინც უთარგმნის მათ, რაც გერმანელების სამაგიერო სიმპატიას და სიყვარულს აასკეცებს.

სამკითხველოს შენობაში დელეგატებისათვის იმართება სადილი. სადილის შემდეგ სამკითხველოს წინ ველზე ცეკვა-თამაშია. თუმცა ცოტათი მოღრუბლული დღეა და წინწკლავს., მაგრამ ეს გარემოება ზეიმს სრულიადაც არ უშლის ხელს. მუშები მღერიან „ცანგალადა გოგონას" მეგრულ „ვარადას". ყველანი ტაშს უკრავენ და გერმანელებიც საერთო ფერხულში ჩაებმებიან. ერთი მათგანი ველარ ითმენს და გამოდის საცეკვაოდ, რომელსაც დაუსრულებელი ტაში თან მოსდევს.

გამოდის ერთი დამსვენებელი მოხუცი, თოვლივით თეთრი და ისიც ცეკვავს, რაც აღტაცებას იწვევს გერმანელებში. მიუხედავად მოხუცებულობისა, რევოლიუციის ვეტერანი არაქელა დაუსვენებლივ კონტრუშობს და ცეკვავს, ალბად წარსული სიჭაბუკე გაახსენდა.

მიტინგის, ცეკვა-თამაშის და ლხინის შემდეგ გერმანელი დელეგატები თავს იყრიან სხვადასხვა გასართობებთან, სადაც თვითონაც ღებულობენ მონაწილეობას ხტუნაობაში, ქანაობაში და სხვა.

საღამოს 7 საათია. ვემშვიდობებით გერმანელებს და ვაცილებთ სადგურისაკენ, სადაც უკვე მზადაა აქაური „კუკუშკა", რომ ისინი ბორჯომისაკენ წაიყვანოს. წასვლის წინ გერმანელები მღერიან გერმანულად „ხმილთ ტოვარიში"-ს, რასაც ყველანი ბანს აძლევენ.

მატარებელი დაიძრა და გერმანელი დელეგატებიც დიდათ ნასიამოვნები გამოგვემშვიდობნენ.

მუშკორი უ. ჯ.

—

უბედურების მოლოდინში

(მთ. მილიციის საყურადღებოთ).

პოლიგრაფიულ ტრესტის შენობის ეზოში (ბროსეს ქუჩა № 2) ეს მეორედ გაჩნდა ხანძარი, მიზეზი ხანძრის გაჩენისა არის მეეზოვე გორგოშიანის და კომენდანტი პეტროსოვის საქმისადმი გულგრილობით მოპყრობა.

ცეცხლი ჩნდება ნაგვისაგან. ნაგავს კი ჰყრის მეეზოვე გორგოშიანი მახლობლათ წყლის პირას, სადაც ნიადაგის სიმაღლე საშუალებას არ აძლევს, რომ ნაგავი წყლამდის ჩაუშვან და გადაყრის დროს ნაგავი რჩება.

მეეზოვე გორგოშიანი ღამით უკიდებს ნაგავს ცეცხლს, რომ მით მოიშოროს თავიდგან ნაგვის გადაყრა. გორგოშიანი გარიგებულია კომენდანტ პეტროსოვთან, რათა ნაგვის გადაყრაში ცალკე ჯილდო მიიღოს, ასეთ მის ყოფაქცევას კი მოსდევს საშინელი უბედურება—ცეცხლის გაჩენის მხრივ. არის რამდენიმე ოქმი შედგენილი იმაზე რომ ნაგავი არ გადაყარონ ბინიშნულ ადგილას, მაგრამ წელიწადნახევარია რაც მეეზოვე გორგოშიანი აქ ჰყრის ნაგავს და არავისიც ერიდება.

საჭიროა ქალ. მილიცია ჩაერიოს ამ საქმეში და დამნაშავეს პასუხი მოსთხოვოს.

იქაური.

—

შევებრძოლოთ ზედმეტი საათების დახარჯვას

(საწარმოო ბანკის საყურადღებოთ)

21 ივლისს 1925 წ. საწარმოო ბანკში, „კამვოლსბიტის" მიმდინარე ხარჯზე № 2102536 მ. 61 კ. ჩაბარების დროს, აღმოჩნდა შემდეგი ზედმეტი დახარჯვა დროისა! ფულის ჩაბარებიდან (დილის 9 ს. 10 წ.) მიმდინარე ხარჯის წიგნაკის უკან მიღებამდე (9 ს. 40 წ.) გაიარა 30 წ., ის დროს, როდესაც ამგვარ ოპერაციაზე „რუსკომბანკში" იხარჯება სულ ხუთი წუთი. ამრიგად 1-ლ შემთხვევაში დროის ზედმეტი დახარჯვა უდრის 80—84 პროც.-ს, რაც თავის მხრივ ხსნის მაღალ საბანკო საკომისიო პროც., რომელიც აღემატება იმამდე არსებულს 5—6 პროც.-ით. საწარმოო ბანკს არ ავნებს, რომ მოისპოს ამდაგვარი ხარჯვა საზოგადოებრივ დროისა.

ვინმე ინსპექტორი.

—

დაუნდობელი მოჩხუბარა დედაკაცი

(მთავარ მილიციის საყურადღებოდ)

ჭაბუკოვის ქუჩაზე სახ. № 5-ში სცხოვრობს მოჩხუბარა მაკა უჩიტაშვილი, რომელიც მეზობლებს არ ასვენებს თავისი აუტანელი ყოფაქცევით და ჩხუბით. დღე და ღამე არა გვაქვს მოსვენება მისგან.

მიშველეთ ეს ქალბატონი.

მუშკორი დარისპანაშვილი.

—

რკინის-გზელთა ცხოვრება

რწმუნებულთა გადარჩევა. ა|კ. საგზაო კომიტეტის დადგენილებით ახლო ხანში დაიწყება ხაზზე სოციალზღვევის რწმუნებულთა გადარჩევა.

ახალი ადგილკომები. ა|კ. საგზაო კომიტეტის ცნობით მთელს ხაზზე და წარმოებებში დასრულდა ადგილკომთა გადარჩევა.

შეეთება. ბაქოს საუბნო პროფკავშირმა მიმართა ა|კ. საგზაო კომიტეტს იშუამდგომლოს ა|კ. რკინის გზის სამმართველოს წინაშე, რათა ბაქოს უბანში მოახდინოს საცხოვრებელ ყაზარმების შეკეთება.

შრომის ინსპექტორების ყრილობა. სექტემბერში დანიშნულია სრულიად საკავშირო რკინის გზის შრომის დაცვის ინსპექტორთა ყრილობა.

სამალარიო ზოლში. ბაქოს საუბნო პროფკავშირმა მიმართა საგზაო კომიტეტს შეიტანოს სამალარიო ზოლში სადგურები: სიზანი, ნასოსნაია და ზორატი.

თათბირი: აგვისტოს შუა რიცხვებში ბაქოში ეწყობა მოსწავლეთა ბრიგადების საწარმოო და ტეხნიკური თათბირი.

ავადმყოფთა გაგზავნა სანატორიუმებში: ა|კ. რკინისგზის დამზღვევ სალარომ აცნობა ყველა საუბნო სალაროებს დაუგვიანებლად აწარმოონ ავადმყოფთა გაგზავნა სანატორიუმებში. ამავე დროს ა|კ. რკინის გზის დამზღვევ სალაროს კომიტეტმა დაადგინა არ გაიგზავნონ სანატორიუმებში მძიმე ავადმყოფები.

თეთრეული ავათმყოფებს. ა—კ. რკინის გზის დამზღვევ სალარომ მიმართა მთავარ საკურორტო სამმართველოს თავის დროზე დაურიგოს ავადმყოფებს თეთრეულები.

საექიმო დახმარებისათვის. ა|კ. რკინის გზის ჯანმრთელობის სამმართველო კარაკლისის დასასვენებელ სახლში აწყობს პატარა აფთიაქს სასწრაფო საექიმო დახმარებისათვის.

წერილები პროვინციიდან

დაუძლეველი რამიშვილი

სოფ. შუა-სურები გურიის ერთ-ერთ კულტურულ კუთხედ ითვლება. ეს სოფელი ცნობილია აგრეთვე თავის თვალწარმტაც ბუნებით. მაგრამ ყოველივე ამ სანაქებო მხარესთან ერთად, მას ამ უკანასკნელ ხანს დასჩემდა ერთი ავი ზნე, რომელიც მოსვენებას არ აძლევს, როგორც მაზრის მმართველ ორგანოებს, ისე ცენტრში მომუშავე ამხანაგებს და ქართულ გაზეთებს.

ესაა დაუსრულებელი კინკლაობა და ერთმანეთისადმი მტრობა თემის მუშაკთა შორის. დღე ერთია, მაგალითად, და „კომუნისტის" რედაქციაში ორი ან სამი წერილი უნდა მოვიდეს შუა-სურების ავ-კარგზე. წერილებს გარდა შემოდიან ცალკე პირები და ზეპირად მოუთხრობენ რედაქციას ამავე სოფლის შესახებ.

საკითხი ყოველთვის ეხება შუასურების თემაღმასკომის თავმჯდომარე ტრიფონ რამიშვილს. არ არის ცოდვები, რომ მას არ აწერდეს ყოველდღიური წერილები სოფლიდან. ამავე დროს ისეთებიც მოიძებნებიან რომლებიც იცავენ ტრიფონ რამიშვილს, როგორც სპეტაკ პიროვნებას და ყოველივე ამას, კერძო ინტერესებით ხსნიან.

ჩვენ განზრახ არ ვაძლევდით არც ერთ მხარეს პრესაში გამოსვლის საშუალებას, რომ ამით გაზეთი არ გადაექცია უაზრო კამათის იარაღათ. ჩვენ ველოდით, რომ მაზრა მას შემდეგ, რაც უკვე რამდენჯერმე დაიწერა შუა-სურების შესახებ, მიიღებდა ზომებს და შეეცდებოდა შექმნილ მდგომარეობის გამოსწორებას.

მაგრამ წერილები დღესაც ადრინდებურად მოდის. საჩივარი ეხლაც ხშირია ტრიფონ რამიშვილზე. ჩვენ არ შევდივართ იმის განხილვაში. რამდენად დამნაშავეა იმ ცოდვებში, რომელსაც მას აწერენ, ტრიფონ რამიშვილი. მხოლოდ ერთი ცხადია ყველასათვის, რომ იმ პირობებში, როგორიც შეიქნა შუა-სურებში, საზოგადო საქმე უსათუოდ უკან მიდის და მის წარმატებით განვითარებაზე ზედმეტია ლაპარაკი.

ნუ თუ შეუძლებელი გახდა ტრიფონ რამიშვილის აღმასკომიდან მოხსნა, რასაც ასე ითხოვს საქმის ინტერესი და ყველა შუა-სურებელ წყლის ამღვრევ ელემენტებისათვის სათანადო ადგილის მიჩენა?

სანამდი გასტანს კიდევ ასეთი მდგომარეობა.

ა. ხ—ლი.

დააჩქარეთ ოქროყანის მიწათ-მოწყობა

რევოლიუციამ მიწები ჩამოართვა ყოფილ მებატონეებს და გადმოსცა გლეხებს, მაგრამ ზოგიერთ სოფლებში ეს საქმე ჯერ კი მოუწესრიგებელია. სახეში მაქვს ს. ოქროყანა, რომელიც ჩვენ დედა ქალაქს ზედ თავზე დასცქერის

მიუხედავად თბილისიდან ასეთი სიახლოვისა, შეიძლება ითქვას, რომ ეს სოფელი ძლიან ჩამორჩენილია. მოსახლეობა სამოც კომლამდეა.

„თვითონ არ იყო ძმარიო, შიგ გაურიოს წყალიო", სწორეთ ამ სოფელზე მართლდება. ისედაც არ ყოფნიდათ სახნავ-სათესი და საბალახო და, რაც ქონდათ, იქიდანაც ქალაქის აღმასკომმა ჩამოართვა ას ოცი დესეტინამდე დავითის მთაზე ტყის გასაშენებლად.

ორი წელიწადია სოფელი მიწას თხოულობს და არავინ აქცევს ყურადღებას. შარშან თხოვეს ქალაქის აღმასკომის მიწათმოწყობის განყოფილებას, მიეცათ მათთვის უფასოთ ავლაბარში სახნავ-სათესი და საბალახო. მაგრამ უარი ეთქვათ და ძველებურად აძლევენ ქალაქის აღმასკომს ღალას.

ამ რაიონში მოვიდა მიწის მზომელი და დაიწყო მუშაობა ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში მყოფ ს. კოჯრიდან. 9 აგვისტოს თემსაბჭომ დაადგინა: „ეთხოვოს თბილისის აღმასკომს პირველ რიგში დააკმაყოფილოს ს. ოქროყანა".

ამისათვის კი საჭიროა ეხლავე გადმოყვანილი იქნას მიწის მზომელი და სოფლის მიწები გაიყოს. თუ რამ დააკლდებათ, მიეცეთ მათ ავლაბრის მამულიდან სადაც გლეხები მუშაობენ და იხდიან ღალას. თუ სასწრაფო ზომები არ იქნა მიღებული, მთელი სოფლის მიწები მოსცდება და ისედაც სანახევროდ გაპარტახებულ სოფელს განადგურება მოელის.

ხაჯი.

გამოუძიებელი დანაშაული

ბარალეთის თემში (ახალქალ. მ.) წარსული წლის მაისში უსაფუძვლოთ დაჭრილი იქნა მილიციონერი ვარშავ ტერ-კარაპეტოვის მიერ გლეხი პორფილე ბიბილურიძე, რომელიც გარდაიცვალა თვენახევრის შემდეგ. ეს საქმე ჩემ მიერ გასაჩივრებული იყო რაიონში, რაზედაც რაიონის აღმასკომს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია.

უპატრონოთ დარჩენილი პორფილე ბიბილურიძის წვრილი ცოლშვილი განიცდის უკიდურეს მდგომარეობას.

ნუ თუ ამგვარ საქმის ჩადენისათვის ასეთ თავხედ მილიციონერს არ ეკუთვნოდა რაიმე სასჯელი?

მეორე ლეგიონის წითელარმიელი

გ. ბიბილურიძე.

რატომ გვიგვიანებთ ჯამაგირს

ხელფასის თავის დროზე მიღების მხრივ გურიის მასწავლებლობა ყველა მაზრებზე ჩამორჩენილია. შეიძლება ვინმემ სთქვას მიზეზი უფულობა არისო, მაგრამ ნუ თუ ყოველ თვიურად გურიის მასწავლებლებს ხვდებათ უფულობის სიმწვავე?

მაშინ, როდესაც სხვა მაზრებში ჯამაგირები თვის ბოლოს არ გადააცილებს, აქ მეორე თვის შუა რიცხვებში არიგებენ მხოლოდ მაგრამ ეხლა ვერც მეორე თვის შუა რიცხვებში მიიღეს ჯამაგირები.

ჩემის აზრით საჭირო იყო არამც თუ ჯამაგირების თავის დროზე მიცემა, არამედ ავანსების მიცემაც.

მაგრამ, საუბედუროდ აგვისტო გადის და ჯერ ივნისის და ივლისის თვის ჯამაგირები არ მიუღიათ გურ. მასწავლებლებს.

მე მგონია ასეთ მდგომარეობამ დიდ ხან არ უნდა გასტანოს. მასწავლებელთა კავშირის მოვალეობაა, რაც შეიძლება დაჩქარებით მოაგვაროს ეს საკითხი, თორემ სამოსწავლო წელი კარზე გვადგია.

საბჭოს წევრი „აუჯა".

წერილებიდან

ვერ გადაიჩქიეს. ს. კოკში (ზუგ. მაზრა) ამას წინად ერთმა გლეხმა ქალი მოიყვანა. ქორწილი ისეთი განმანადგურებელი აღმოჩნდა ახალ ცოლმოყვანილისათვის, რომ ის დღეს ყელამდი ვალში ზის და ოჯახიც უკან მიექანება. არა ნაკლებ ხარჯებს ეწევა სოფელი მიცვალებულის დაკრძალვის დროს. „რომ ეცოცხლა, ამაზე მეტი მოუნდებოდაო", ამბობენ ჭირისუფლები, როცა აწყობენ ქელეხს. სინამდვილეში კი ისეთ ხარჯებს ეწევიან, რომელიც ოჯახს რამდენიმე წლით მძიმე ლოდათ აწვება თავზე.

გლეხკორი ი. დ—ი.

—

მოწყვეტილი ვართ სამაზრო ცენტრს. ოზურგეთ-ჩოხატაურის გზატკეცილზე მგზავრები წინადაც თავგზებს იწყვეტდნენ. უკანასკნელ წვიმების შემდეგ კი ეს გზა სულ აღარაფერს არ გავს: ხიდები დანგრეულია, ორმოები მომატებული, ადგილ-ადგილ გაუვალი ლაფი და ტალახი დგას. იყო შემთხვევა, როცა ნასაკირალის ხიდის უვარგისობის გამო ნაგომარის „ეპოს" ნავთით დატვირთული ურმები წყალგაღმა დარჩენ რამდენიმე დღე. ამნაირად აღმოსავლეთი გურია მოწყვეტილია მაზრის ცენტრს.

ქ. უჯმაჯურიძე.

—

ღამის რაინდი ჯოხაძე. ქ. სურამში 10 აგვისტოს ღამის 12 საათზე ატყდა სროლა. მილიციონერები მაშინვე იქით გაეშურენ, საიდანაც ხმა მოისმოდა. როცა მივიდენ სროლის ადგილას, მათ წინ გადაეღობათ ადგილობრივ აფთიაქის თანამშრომელი ჯოხაძე, რომელიც უშვერი სიტყვებით უმასპინძლდებოდა წესრიგის აღსადგენად მოსულ მილიციონერებს. ატრება ხალხმა მოიყარა თავი. ჯოხაძე ეხლაც ხელუხლებელი დაიარება.

ქორ-ოღლი.

—

თვითონაც არ დაეძებენ, სხვასაც ხელს უშლიან. რაჭის მაზრის ს. სომიწოში ბევრი ახალგაზრდა ინტელიგენტებია, რომლებიც უბრალო ლაზღანდარობაში და ხუმრობა-თამაშობაში ჰკლავენ დროს. გარდა იმისა, რომ თვითონ თავს არ იწუხებენ ხალხის კულტურულ დახმარებისათვის, სხვასაც ხელს უშლიან ამ საქმეში. როცა ადგილობრივ წარმოდგენებზე გამოვიდა მოხსენებით თეატრის მნიშვნელობის შესახებ ერთი სომიწოელი ამხანაგი, წამოდგა ხალხში მჯდომი შალ. ზენდიანიშვილი, მორთო სიცილ-ხარხარი და ტაშის ცემა. ის დასცინოდა მომხსენებელს და ამისაკენ მოუწოდებდა სხვებსაც.

ხალხი მეტად აღშფოთდა ასეთი თავხედობით და დამსწრე საზოგადოების უპატივცემლობით.

მასწავლებელი.

—

არა გვაქ საექიმო დახმარება. თუ ვინმე გახდა ავად ლეჩხუმის მაზრის ს. ალპანის თემში, მას უხდება ექიმთან წასვლა ლაილაშში. ზოგჯერ ექიმი არც კი ხვდება სახლში ავადმყოფს. თუ დაგხვდა, უფულოდ არ წამოვა. ამასობაში ხშირად ავადმყოფები ყოველ დახმარების გარეშე სიცოცხლეს ესალმებიან. ნუ თუ ასე გაუჭირდა მაზრაღმასკომს ჩვენი თემისათვის ერთი ფერშალი?

ლაბრელი.

—

უნდა აილაგმონ. ს. შუხუთში (გურია) შუა ადგილას არის სამიკიტნოები. უსაქმო პირები თითქმის ყოველ დღე ქეიფობენ აქ. არის ლოთების ერთი აურ-ზაური და მშვიდობიან მგზავრებზე თავდასხმა შეურაცყოფის მიზნით. იყო შემთხვევა, როცა სცემეს უდანაშაულო გლეხებსაც.

ფიცხი.

—

უზრდელი ნოქარი. სუფსის „ეპოს" ფართლეულობის სავაჭროში შეძვრა ნოქრად ვიღაც გიორგაძე, ყოფილი ვაჭარი. ის იმდენად შეუფერებლად ექცევა მყიდველებს, რომ გეგონებათ საკუთარ რამეს საჩუქრად არიგებსო. ამ ვაჟბატონის წყალობით ხალხს ეზარება კოოპერატივებში შესვლა.

დოლ.

—

მძინარე გლეხკომი. ს. გურჯაანის გლეხკომის კარები სულ მაგრადაა გამოკეტილი. ამ ორგანიზაციის არსებობის მთავარ წყაროს წარმოადგენს წითელი სასადილო; სადაც ისევე აძრობენ ხალხს ტყავს, როგორც სამიკიტნოში. საერთოდ გლეხკომი სალათას ძილსაა მიცემული. მისი მუშაობა არსად და არაფერში არ სჩანს. დროა გამოაღვიძონ ისინი ტკბილი ძილიდან.

სიმხიტ.

—

სახლი უსახურავოდ ფუჭდება. ცაიშ-კახათის თემს (ზუგ. მაზრა) აქვს კოოპერატივისათვის შეძენილი საუკეთესო ქვის შენობა. მაგრამ ამ შენობას სახურავი არ უვარგა. თუ კიდევ ცოტა ხანს ასე დარჩა, მისი შეკეთება შეუძლებელი იქნება. რას ფიქრობს ზუგდიდის „ეპოს" გამგეობა?

ნ. მატუშვილი.

სოფლის ქრონიკა

— **სასოფლო-სამეურნეო სკოლა.** მომავალ სამოსწავლო წლიდან ბორჩალოს მაზრაში გაიხსნება სასოფლო-სამეურნეო სკოლა.

— **საქონლის ჭირთან ბრძოლა.** ქვემო რაჭის საქონლის საექიმო ამბულატორია, გადაწყვეტილია დაუკავშირდეს თემებს ტელეფონის ქსელით, რომ უფრო გაადვილდეს საქონლის ჭირთან ბრძოლის საქმე.

— **შორაპნის მაზრაში ღვინის სიიაფე.** ფუთი ღვინო მანეთად ფასობს.

— **ახალი ხიდი.** შეუდგენ მდინარე კრიხულაზე (ქვემო რაჭაშია) ხიდის აგებას.

— **ხილის მოსავალი.** თელავის მაზრაში წელს მოელიან ხილის დიდ მოსავალს. კარგი პირი უჩანს აგრეთვე ღვინის მოსავალსაც.

წითელარმიელის შეკითხვა

სოფ. საქობოს (სიღნ. მ.) საბჭოს თავმჯდომარეს და სამკითხველოს საამშენებლო კომისიას ვთხოვ მიპასუხოს: რა უფლების ძალით ჩამოერთვა ქვა შემდეგ გლეხებს: ანდრია ხარაზაშვილს, რომანოზ ჯავახიშვილს, კოლა ზედელაშვილს, ლიმონა ზედელაშვილს და ფილე ზედელაშვილს? თუ ეს თქვენი შეხედულებით არ ჩაგიდენიათ, შეგვატყობინეთ ვინ მოახდინა საამისო განკარგულება.

წ. მოლაშქრე ხარაზაშვილი.

წითელ ჯარში

ტერ-ნაწილის ცვალებადი შემადგენლობის საერთო შეკრება

მე-4 ქართული ტერიტორიალური მსროლელი ლეგიონის ცვალებად შემადგენლობას ქვემოჩამოთვლილ კატეგორიებისა ევალებათ გამოცხადდენ ნაწილში შემდეგ რიცხვებში: 1) უფპოლიტშემადგენლობა ა|წ. 15 აგვისტ. 2) უმცროსი მეთაურები (მწყობრის თავის თანაშემწე,—ათის თავები)—დაბადებულნი 1899, 1900 და 1901 წლებში—ა|წ. 15 აგვისტოს.

3. ადმინისტრატიული სამნეო შემადგენლობა და მედ-პიეთალი პერსონალი ა|წ. 22 აგვისტოს.

4. კომპარტიის წევრები ყველა წლებში დაბადებულნი, რომლებიც ჩარიცხულნი არიან ლეგიონის ცვალებად შემადგენლობაში—ა. წ. 1 სექტემბერს.

5. წითელარმიელები 1901 წ. დაბ.—ა. წ. 2 სექტემბერს.

ყველა ზემოაღნიშნული ცვალებადნი უნდა გამოცხადდნენ თავიანთ ასეულებში, სადაც ჩარიცხულია არა უგვიანეს ზემოთაღნიშნულ ვადებისა,

მეცნიერება და ტეხნიკა

„ქრომდონი"

ასეთი სახელი უწოდა ამერიკელმა ქიმიკოსმა ფინკმა მის მიერ აღმოჩენილ საშუალებას ლითონის საგნების გარედან მოკალვისას ქრომით. ასეთი მოკალვა ლითონის საგნებს ძვირფას თვისებებს აძლევს. საქმე იმაშია, რომ ქრომი, რომელიც წარმოადგენს ვერცხლისფერ მბზინავ ლითონს, მეტად მაგარია, არ იჟანგება ზღვის წყალშიც კი, სრულიად არ ფუჭდება სიმჟავეების ზეგავლენით და ძალიან ძნელი გასადნობია. ქრომის ამ თვისებებით დიდხანია სარგებლობენ ლითონის მრეწველობაში: ქრომს ურევენ ფოლადში და ამზადებენ ე. წ. დაუჟანგავ ფოლადს. მაგრამ ეს ძლიერ ძვირი ჯდება, რადგან საჭიროა ფოლადში 15 პროც. ქრომის შერევა. ქრომდონით სარგებლობის დროს კი, ქრომის სრულიად უმნიშვნელო რაოდენობით (ერთი გრამის მეათედი, მეასედი) შესაძლებელია ყოველი საგნის დაცვა გაფუჭებიდან ათეული წლების განმავლობაში. ფინკის აღმოჩენამ ფართე გავრცელება ჰპოვა ამერიკაში და არა მარტო მრეწველობაში, არამედ მრავალი საოჯახო ნივთების დასამზადებლადაც.

მომჭირნეობა ნახშირის ხარჯვაში.

ერთ ამერიკულ ჟურნალში მეტად საინტერესო ცნობებია მოთავსებული: 1919 წ. თითეულ კილოვატ ელექტრო ენერგიაზე იხარჯებოდა 2,9 გირ. ნახშირი. 1924 წ. თანდათანობით გაუმჯობესებათა საშუალებით, უმთავრესად კი მტვრის მაგვარი ნახშირის შემოღების გამო ხმარებაში, ერთ კილოვატზე იხარჯება 1,9 გირ. ნახშირი. ამ გზით მარტო ელექტრო-სადგურების ეკონომია ნახშირის ხარჯვაში შეადგენს 17.000.000 ტონას. რკინისგზების ეკონომია კი ორთქმავლების გაუმჯობესების გამო, შეადგენს 12.000.000 ტონას. ლითონის მრეწველობის ეკონომია ნახშირიდან გაზზე გადასვლის გამო შეადგენს 15 მილიონ ტონას, ამრიგათ ამერიკაში 1924 წ., ტეხნიკურ გაუმჯობესებათა შემოღების გამო დახარჯეს ნახშირი 44 მილიონი ტონით (2.728.000.000 ფუთი) ნაკლები, ვიდრე 1919 წელს. ამ რაოდენობაში არ შედის, რასაკვირველია ნახშირის ის რაოდენობა, რომელიც დაიხარჯებოდა ორთქმავალებზე ამ 44 მილიონი ტონა ნახშირის გადასაზიდათ.

ურთულესი მანქანა.

ყველაზე ურთულეს მანქანას მთელს მსოფლიოში, ეჭვს გარეშე წარმოადგენს ვაშინგტონის გეოდეზიურ ინსტიტუტში ზღვის მიმოქცევის დროს ოკეანეებში წყლის დონეს გამომარკვევი მანქანა. ეს მანქანა შესდგება 15.000 სხვადასხვა ნაწილიდან, რომელთა უმრავლესობა თითბერისაგან არის დამზადებული. ამერიკელები ამ მანქანას „ფოლადის ტვინს" უწოდებენ. ამ მანქანას შეუძლია ჩვენება თუ როგორი იქნება წყლის დონე ოკეანეში ერთი საათის ან ათასი წლის შემდეგ. ამისათვის საჭირო არ არის რაიმე გამოანგარიშება, საჭიროა მხოლოდ მანქანის შესაფერ ფოლაქზე ხელის დაჭერა. გამორკვეულია, რომ ეს მანქანა ინსტიტუტს უწევს 60 მათემატიკოსის მაგიერობას.

მანქანა დადგეს ინსტიტუტში 1912 წ. მიმდინარე წელს მანქანის ყველა ნაწილები შეამოწმეს და აღმოჩნდა, რომ 13 წლის განმავლობაში ეს ნაწილები იმდენათ მცირეთ შეიცვალენ, რომ მანქანას შეუძლია წესიერათ იმუშაოს კიდევ მრავალი წლების განმავლობაში.

არქეოლოგიური გათხრები ეგვიპტეში.

ამერიკის სამეცნიერო ექსპედიციამ, რომელიც არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებს ეგვიპტეში, გიცეს პირამიდასთან აღმოაჩინა აკლდამა, სადაც მეცნიერების აზრით დასაფლავებულია ეგვიპტის ფარაონი სენოფრუ. ფარაონი სენოფრუ, რომელიც 5000 წლის წინათ ცხოვრობდა, ეგვიპტეს ძლევამოსილების ერთი შემქნელთაგანი იყო.

რადიუმის ფასი.

მიუხედავად იმისა, რომ რადიუმზე მოთხოვნილება იზრდება, ფასი მასზე თანდათანობით ეცემა. პირველათ რადიუმს პოულობდენ მხოლოდ იოაქიმსტალში (ავსტრალია). რადიუმის მცირე მარაგი, რომელიც მოიპოვებოდა ინგლისში, პორტუგალიაში, და საფრანგეთში, რადიუმის ღირებულებაზე გავლენას ვერ ახდენდა. როცა რადიუმის მადნეულობა აღმოაჩინეს ამერიკაში, მისი ფასი 166.000 დოლარიდან (გრამი) 100.000 დოლარამდი დაეცა. ახლა კი გრამი რადიუმი 70.000 დოლარს ფასობს. მთელს მსოფლიოში ახლა მოპოვებულია მხოლოდ სამი მეოთხედი გირ. რადიუმი.

ქრონიკა

— **შრომის სახ. კომისარიატი** ჭიათურაში აგზავნის სპეციალურ კომისიას ამხ. ნათაძის და ანდრონიკაშვილის შემადგენლობით იქაურ მაღაროების მავნებლობის შესასწავლად.

— **აფხაზეთის მრეწველობის** ასაღორძინებლად საკავშირო უმაღლესმა სამეურნეო საბჭომ გადასდო 450,000 მან.

— **ხე-ტყის სახერხი ქარხნები.** საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტი გომბორის და ლაგოდეხის რაიონებში აწყობს წყლით მომუშავე ხე-ტყის სახერხ ქარხნებს.

— **პურის მცხობელთა ჯანმრთელობის** გამოკვლევას ჯანსახკომის დაზღვეულთა სამკურნალო ქვე-განყოფილება ამ დღეებში შეუდგება, გადამდებ სენიანი ავადმყოფნი პურისმცხობელნი მოხსნილ იქნებიან სამუშაოდან.

— **მონადირეთა კავშირი** სექტემბრის ბოლო რიცხვებში აწყობს მონადირე ძაღლების გამოცდას.

— **ხოხობზე ნადირობა.** მონადირეთა კავშირის საბჭოს დადგენილებით აკრძალულია ხოხობზე ნადირობა მიმინოთი და შევარდენით.

— **სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.** ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატმა გადასწყვიტა უცხოელ ფირმებსაც მიაღებინოს მონაწილეობა თბილისში მოსაწყობ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში.

— **ტრაქტორების მიღება.** ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატი ამ ახლო ხანში გერმანიიდან მიიღებს 10 ახალ ტრაქტორს.

— **ფ.-ტელეგრაფის კომისარიატმა** გადასწყვიტა თავის უწყების მოსამსახურეთათვის დასასვენებელ სახლების აგება ბორჯომში.

— **სატელეგრაფო კავშირი.** მიმდინარე წლის განმავლობაში ფ.-ტელეგრაფის კომისარიატმა შეაკეთა 8143 სატელეგრაფო ბოძი აღმართა 3393 ახალი ბოძი.

— **საექიმო დახმარება.** ჯანსახკომმა შეადგინა შავი ზღვის ნაპირებზე მომუშავე წყლოსნებისათვის საექიმო დახმარების ხარჯთ-აღრიცხვა 57,000 მან. რაოდენობით.

— **აქციების შეძენა.** თბ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა შეიძინოს „მიასტორგის" აქციები 25 ათასი მანეთის.

— **უფპოლიტშემადგენლობის მომზადება.** 17 აგვისტოდან ყველა ლეგიონებში დაიწყება უფპოლიტშემადგენლობის მომზადება.

— **ხოფ. თიანეთის** თბილისის მაზრაზე შემოერთების გამო, თბ. აღმასკომმა დაადგინა, თიანეთის რაიონში დაარსებული იქნას 1 სათემო და 5 სასოფლო საბჭო.

— **საღამოსა და დილის მუშფაკებზე** მომავალ სამოსწავლო წლიდან განათლების კომისარიატის დადგენილებით შემოღებული იქნება მიდრეკილებანი: ბუნებისმეტყველების, ტეხნიკურის. საზოგადოებათა მეცნიერების და ეკონომიურის სწავლებისაკენ.

— **შეჯიბრება.** მე-2 დივპოლიტგანის საავ.-საპრ. განყოფილებას განზრახული აქვს მოაწყოს სექტემბერში ლეგიონების შეჯიბრება სკოლის გარეშე მუშაობის დარგში.

— **ქვა-ნახშირის აღზიდვა.** უმაღლეს სამეურნეო საბჭოს გეგმის მიხედვით მომავალ წელში ტყიბულის მაღაროებიდან ამოღებული იქნება 5,400,000 ფუთი ქვანახშირი.

— **საქ. პროფკავშირებს** დღემდე მოწყობილი აქვს 138 წიგნთსაცავი, სადაც ითვლება 152 ათასი ცალი წიგნი.

— **ბრძოლა წ.-კ. უცოდინარობასთან.** გასაბჭოების დროს პროფკავშირების წევრების ყოველ 100 კაცში იყო 40 წ.-კ. უცოდინარი, ეხლა კი ითვლება 3 კაცი.

— **საქონლის ავადმყოფობისაგან** დაზარალებულ მოსახლეთათვის შეღავათების მისაცემად. მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატმა მომავალ წლისათვის გამოითხოვა 82 ათასი მან.

— **ტაბახმელის საშრობე სადგურისათვის** მიწათ-მოქ. კომისარიატმა გადასწყვიტა შეიძინოს 100 სული მსხვილფეხა საქონელი.

— **ჰიდრო ელსადგური.** ახალციხის, უკვე დამთავრებულ ჰიდრო ელსადგურის მისაღებათ და შესამოწმებლათ თბილისიდან გაემგზავრა საუწყებათაშორისო კომისია.

ხელოვნება

განათლების მუშაკთა კლუბი

დღეს საღამო-კონცერტი მუსიკალურ კომედიების მსახიობთა ახალი პროგრამით: კრასავინი, არიგონი, ტალგრენ, ტარსკი, კრასოვი და სახელ. მოლეტის მსახიობ. იუპატოვი და ალბერტი. ბაღში სასულე ორკესტრი.

ხვალ წარმოდგენა ქართულ ენაზე „ომში ომი" 8 მოქ. ორიგინალური დადგმა.

ორშაბათს დიდი საღამო ორიგინალური ინსცენიროვკები. პროგრამა: „წყლის პირას" ლ. ტოლსტოისა, „სცენა ყავახანაში", „წინეთ და ეხლა", „მუსიკალური სურათი". დასასრულ სამხიარულო კუპლეტები.

— **ზაფხულის კლუბი „მზეჭდავი".** კვირას, 16 აგვისტოს, მე-2-რე გასტროლი—გამოჩენილი მცეკვავები—ირმა დუნკანის.

იურიდიული რჩევა-დარიგება

მეკუთვნის თუ არა ზედმეტი საათების მუშაობის ჯილდო?

კითხვა

ვარ მასწავლებელი. სკოლის გამგის დავალებით (გასამრჯელოს მოცემას შემპირდა) სასწავლებლის საჭიროებისათვის შევასრულე სხვადასხვა სპეციალური სამუშაო რომელსაც მოვანდომე 30 საათზე მეტი დრო. ვმუშაობდი გაკვეთილების შემდეგ და ღამითაც.

მეკუთვნის თუ არა გასამრჯელო ხსენებულ სამუშაოს შესრულებისათვის, ან რამდენი?

გერასიმე.

პასუხი

ვინაიდან ზედმეტ საათების მუშაობას თქვენ აწარმოებდით სკოლის საჭიროებისათვის სკოლის გამგის დავალებით, თქვენ აუცილებლად უნდა მოგეცეთ ზედმეტი საათების მუშაობისათვის გასამრჯელო. გასამრჯელოს რაოდენობა კი, თუ ასეთი კოლ.-ხელშეკრულებაში არ არის განსაზღვრული, არ უნდა იყოს. საათობრივ ჯილდოს ერთ-ნახევარზე ნაკლები პირველ ორ საათში და არა ნაკლები ორმაგი ჯილდოსი ყოველ შემდეგი საათის მუშაობისათვის.

(იხ. შრ. კანონთა კოდ. მუხ. 60 და 94).

სახლი ვინ უნდა შეაკეთოს

კითხვა

მე ვცხოვრობ მე-11 უბანში სუქინის ქუჩა სახ. № 10-ში. მაქვს დაქირავებული ერთი პატარა ოთახი ზომით 24 კვადრატიული არშინი. ვცხოვრობთ შიგ 3 სული. ამ ოთახს აქვს სამზარეულო, რომელშიაც შესვლა შეუძლებელია; სახლს აქვს სახურავი დანგრეული და ჩამოდის წვიმა, თითქმის ლოგინის დასადგმი ალაგი არ არის, რომ გადარჩეს დაუსველებელი. წვიმის გამო ოთახს აქვს ჰერი დამპალი და დღე-დღე მოველი საშინელ უბედურებას.

გთხოვთ განმიმარტოთ ვის ეკუთვნის ოთახის შეკეთება! სახლის პატრონი შეკეთებაზე უარს აცხადებს. ვის მივმართო ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად.

თბილისის საქონლის სადგურის მუშა გიორგი ივანეს ძე ლეჟენტი.

ვარ კავშირის წევრი (წიგნაკი № 1231—440).

პასუხი

როგორც თქვენი შეკითხვიდან ირკვევა სახლს ესაჭიროება კაპიტალური რემონტი. ასეთი რემონტის შეკეთება კი ევალება სახლის პატრონს. თუ კი სახლს შეუკეთებლობის გამო მოელის დანგრევა, თქვენ უნდა მიმართოთ საბინაო სასამართლოს ან აღმასკომის კომუნალურ განყოფილებას სათანადო ზომების მისაღებად.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

მე ვცხოვრობ უსპენსკის შესახ. № 2-ში. ვარ ხელოვანთა კავშირის წევრი. მიჭირავს ხუთი სულით სამი ოთახი, სივრცით 125 კვად. არშინი (ერთი შესავლით), თვიურად შრომის ხელფასად ვიღებ 15 მანეთს.

გთხოვთ განმარტებას თუ რამდენი უნდა გადავიხადო თვიურად ბინის ქირა.

პასუხი

ას კვადრატიულ არშინზე (სახლ. ნორმის მიხედვით) იხდით თვიურად ერთ მანეთს (ე. ი. თითეულ კვად. არშინზე ერთ კაპეიკს) ზედმეტ ოცდახუთ არშინზე გადაგხდებათ ქირა ორმაგად (ე. ი. თითეულ კვად. არშინზე ორ-ორი კაპეიკი. სულ კი მთელი ბინისა გადაგხდებათ თვიურად ერთი მანეთი ნახევარი (1.50 კ.)

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 39

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვეულ მოქალაქეთათვის ოჯახობრივი და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით მისაცემი შეღავათების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვეული მოქალაქისათვის ოჯახობრივი და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით მისაცემი შეღავათების გამორკვევის დროს.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქე ქალის შრომის უნარიანობის მაქსიმალურ ასაკად უნდა ჩაითვალოს 40 წელი, და

2. ოჯახის შრომის უნარიან წევრთა რიცხვს ყველა შემთხვევაში უნდა გამოეკლოს ერთი შრომის უნარიანი ქალი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე:

ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი:

ს. თოდრია.

1925 წ. აგვისტოს 8.
თბილისი—სასახლე.

დადგენილება № 40

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

სამომხმარებლო კოოპერაციის თაობაზე 1923 წ. იანვრის 24-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის ძალა დაკარგულობის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ცნობილი იქნეს, რომ ს. ს. რ.—ბის კავშირის ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის მიერ—სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ 1924 წ. მაისის 20-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის გამო—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ იმავე სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ 1923 წ. იანვრის 24-ს თარიღით გამოცემული დეკრეტი ძალასა კარგავს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე:

ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი:

ს. თოდრია.

1925 წ. აგვისტოს 8.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იუწყება, რომ სამშაბათს, 18 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, ახალგ. ლენინურ კომკავშირის კლუბის შენობაში (ანდრეევის და მილიუტინის ქუჩ. კუთხე) გაიმართება რაიონის პარტიის და კომკავშირის უჯრედთა მდივნების თათბირი.

კომპარტიის და კომკავშირის, უჯრედთა ყველა მდივნების და აგრეთვე კომკავშირელებს შორის მომუშავე კომისიის ხოლო სადაც ასეთი არ არის, კომპარტიის უჯრედებიდან კომკავშირის უჯრედებთან მიმაგრებულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

მდივანი მელაძე.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტ.-საპროპაგ. განყოფილება სთხოვს ამხ. ნაპიტაშვილს და თავზაძეს 2 დღის ვადაში გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის სააგიტ.-საპროპაგ. განყოფილებაში ამხ. კარულთან.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს შემდეგ ამხანაგებს 18 აგვისტოს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან.

ლალიაშვილი შალვა, თარგამაძე შ. გ., თვალაძე ა. ნ.

— ს. კ. პ. ც. კ—ტის საალრ. განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. კონსტანტინე ამბაკოს ძე ქართველიშვილს გამოცხადდეს ს. კ. პ. ც. კ—ტის საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში.

ს. კ. პ. ც. კ—ტის საალრ. განმანაწ. განყ. გამგე: ზუპაგიძე.

განცხადებები

ნიკოლოზ კოიავა აუწყებს ნათესავებსა და ნაცნობებს, რომ ხუთშაბათს 13 აგვისტოს, გარდაიცვალა მისი და და მეგობარი

ქსენია ნიკოლოზ კოიავას ასული თოდუასი

დაკრძალვა კვირას 16 აგვისტოს 12 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. ქ. 2279 1—1

ღრმად დამწუხარებული მეუღლე აკაკი სოფრომის ძე თოდუა და შვილები: ირაიდა, ოლიმპია, ლიდია, კონსტანტინე და თამარი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარი და საყვარელი მეუღლის და დედის

ქსენია ნიკოლოზ კოიავას ასული თოდუასი

უდროვო გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 16 აგვისტოს 12 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. ქ. 2279 1—1

ხუთშაბათს 13 აგვისტოს გარდაიცვალა

ქსენია ნიკოლოზ კოიავას ასული თოდუას

რისაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ მისი აღმზრდელი და სოფიო ნიკოლოზ კოიავას ასული, სიძე კირილე, დისშვილები რიმმა და ვალიკო კუშაკევიჩები. დაკრძალვა კვირას 16 აგვისტოს 12 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. ქ. 2279 1—1

ღრმათ დამწუხარებულნი და ანტისა კოიავას ასული თოლორდავასი, დისშვილები სერგო ნიკოლოზ და ალექსანდრე თოლორდავები, რძალი ნინა ბურციძის ასული თოლორდავასი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ რომ ა. წ. 13 აგვისტოს ხანმოკლე ავათმყოფის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი,

ქსენია ნიკოლოზ კოიავას ასული თოდუასი

დაკრძალვა, კვირას 16 აგვისტოს, 12 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. ქ. 2279 1—1

გულდათუთქული მეუღლე ვალენტინა, ცოლის დები კატო, ქეთო და ანა, ცოლის ძმა და ბიძაშვილი დომენტი და ნიკო კანდელაკები. ქვისლები პავლე ბერიშვილი და სერგო გიორგობიანი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს მათთვის დაუვიწყარი

იასონ დოხნაძის

უდროოდ გარდაცვალებას ა. წ. აგვისტოს 12-ს, ქ. ონში. ქ. 2282 1—1

სამსონ ოქროპირისძე და ანა ივანეს ასული კობახიძეები, შვილები მათი: ირაკლი, ვარლამი, ვასილი და ლიდა კობახიძენი და აკაკი სიკოსძე კობახიძე, გულითადი მწუხარებით აცნობებენ ნათესავთ ნაცნობთ ა. წ. 12 აგვისტოს ქ. ონში (რაჭაში) უდროვოთ გარდაცვალებას თავის საყვარელი ნათესავი და მეგობრის

იასონ ილარიონის ძე დოხნაძისას

დაკრძალვა ა. წ. 15 აგვისტოს (რაჭა) ს. ნიკორწმინდაში. ქ. 2285 1—1

თავზარდაცემული მეუღლე ვალენტინა, გულდათუთქული მშობლები ილარიონი და ანნა დოხნაძეები, ძმები საშა და ფილიპე, დები: ელენე, მარუსა და ნინა, ბაბუა პავლე, ბიძია მიხეილი და ბიცოლა მინადორა დოხნაძეები, სიძეები ირაკლი კობახიძე და შალიკო გურგენიძე აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებს რომ ა. წ. 12 აგვისტოს ქ. ონში (რაჭა).უდროვოთ დაკარგვას თავისი ძვირფასი და საყვარელი

იასონ ილარიონის ძე დოხნაძისას

დაკრძალვა ს. ნიკორწმინდაში (რაჭა) ა. წ. 15 აგვისტოს. ქ. 2285 1—1

თავზარდაცემული გიორგი (უშანგი) ნიკოს ძე შარაშენიძე აცნობებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ საყვარელი მეუღლის

ალექსანდრას (საშურას)

მოსკოვში გარდაცვალებს, ცხედარი გადმოსვენებული იქნება სამშობლოში. ჩამოსვენების და დაკრძალვის დღე გამოცხადდება განსაკუთრებით. ქ. 2277 1—1

ღრმად დამწუხარებულნი ძმა დიმიტრი კოტეტიშვილი, რძალი ნინა, ძმისწულები გოგი და ვანო აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სოფ. კავთისხევში მათი საყვარელი

შალვა ნიკოლოზის ძე კოტეტიშვილი

დაკრძალვა მოხდება კვირას 16 აგვისტოს დილის 11 საათზე სოფელ კავთისხევში. ნის. 1616 1—1

ეფრემ ფარნაოზის ძე, ტატიანა ბესარიონის ასული და ილია (კიჭი) ნიკოლოზის ძე, ნათელა გრიგოლის ასული ზაქარაიები ამით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი დისწული პირველთა და მამიდაშვილი უკანასკნელთა

დიმიტრი (პიჭი) ივანეს ძე კუჩულორია

დაკრძალვა სოფელ უშაფათში, სენაკის მაზრა. სადგურზე გამოსვენება მეორე ქალაქის საავადმყოფოდან (ყოფ. ალექსანდრესი) შაბათს, 15 აგვისტოს, ნაშუადღევის 6 საათზე.

ღრმად დამწუხრებულნი: ძმა—დიომიდე კუჩულორია, რძალი ილუბა გეგეჭკორი კუჩულორიასი, ძმის წულები—ხოსრიკო და ტაპუშკინა აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ა/წ. 14 აგვისტოს უდროვოდ და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი

დიმიტრი ივანეს ძე კუჩულორია

ცხედრის გამოსვენება—ქალაქის მე-2 საავათმყოფოდან 15 აგვისტოს საღამოს 6 საათზე (კამოს ქ. № 103) თბილისის სადგურზე, საიდანაც წასვენებული იქნება ქ. სენაკში.

მე-2-რე ქართული ტერიტორიალური
საარტილერიო ლეგიონი

აცხადებს ლეგიონის ცვალებად შემადგენლობაში ჩარიცხულ ქვემოდ ჩამოთვლილ უმცროს მეთაურთა საყურადღებოდ, რომ ისინი ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ საერთო შეკრებაზე ა. წ. 15 აგვისტოს საარტილერიო ლეგიონში ქ. თბილისში.

1) ღრუბელაშვილი ალექსანდრე.
2) მაღალაშვილი მიხეილ.
3) ვეოდიანცი არამი.
4) ხარატიანცი ალექსანდრე.
5) გაგნიძე სერგო.
6) კონონოვი ალექსანდრე.
7) ბასიხტოვი ნიკოლოზი.
8) გუდიაშვილი პეტრე.
9) ჯეირანაშვილი ალექსანდრე.

ვინც ზემოაღნიშნულ ვადაზე არ გამოცხადდება, მიეცემიან პასუხისგებაში თანახმად სისხლის სამართლის კოდექსისა.

2271. 1—1

შავი ზღვის რკინის გზის სამხრეთ ნაწილის სააღმშენ. სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ა/წ.

31 აგვისტოს დღის 12 საათზე

სამმართველოს ბინაზე, სადგურის ქ. № 15

დანიშნულია
კონკურენცია

სამმართველოს სადგომის ნაწილზე ზენაშენის (მე-2 სართულის) ასაგებად მონარდის მასალით და იარაღით. სამუშაოთა დამთავრებისათვის დანიშნულია ორი თვის ვადა

პირი ან დაწესებულება, რომელსაც სურს აღნიშნული სამუშაოების აღება, უნდა შემოიტანოს ამის შესახებ საღერბო გადასახადით გადახდილი წერილობითი განცხადება სათანადო ბლანკზე დაბეჭდილ პაკეტში წარწერით: „შავი ზღვის რკინის გზის სამხრეთ ნაწილის შენების სამუშაოთა უფროსს 1925 წლ. 31 აგვისტოს კონკურენციისათვის“.

განცხადება შემოტანილი 31 აგვისტოს დღის 12 საათის შემდეგ დატოვებული იქნება განუხილველად. განცხადებას უნდა დაერთოს ქვითარი სამმართველოს სალაროში საწინდარის შეტანის შესახებ არა ნაკლებ ნარდათ ასაღებ სამუშაოების საფასურის 5 პროც. რაოდენობისა.

სამუშაოების დაწვრილებითი პირობების დანახაზების გაცნობა შეიძლება ყოველდღიურად შენების სამმართველოში 9 საათიდან 2 საათამდე. განცხადების სათანადო ბლანკები გაიცემა იქვე

1617 1—1

სამუშაოთა უფროსი, ინჟინერი—კაციტაძე.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

სხივებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე ი[illegible] ავადმყოფთათვის, რომელნიც [illegible] ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—13

სააღმშენებლო-სამრეწველო აქციონური საზ-ბა
„სამშენ“-მა

თანახმად დამტკიცებულ დებულებისა, დაიწყო თავისი მოქმედება.

საზოგადოების მიზანია

ყოველგვარი სააღმშენებლო მუშაობა და აგრეთვე სამრეწველო წარმოებათა განხორციელება და ექსპლოატაცია. ქალაქისა და სოფლის აღმშენებლობა, როგორიც არის: აშენება საცხოვრებელ სახლებისა და სხვა ყოველგვარი შენობათა და ნაგებობათა; აშენება და მოწყობა ქარხნებისა, ფაბრიკებისა, წყალსადენის, კანალიზაციის, ცენტრალურ გათბობის, ჰიდრო-ელექტრონულ და სხვა ძალის სადგურების, გაყვანა რკინის და სხვა გზების, აგება ხიდების, სანავთსადგურო ნაგებობათა, არხების და წარმოება სამელიორაციო სამუშაოთა, დამზადება და მიწოდება ყოველგვარი სააღმშენებლო მასალებისა და მოწყობილებათა და სხვა.

საზოგადოების დროებითი მისამართი: პუშკინის ქუჩა № 3. კომუნალური ბანკი ტელეფონი № 7—76.

ნის. 1614—3—1

გამგეობა.

ლანჩხუთის რაიონის მთლიანი კოოპერატივის

გამგეობა

ამით აცხადებს იმ პირთა საყურადღებოთ, რომელთაც აქვთ ვალი ჩვენი კოოპერატივის, რომ დღიდან ამა განცხადების გამოქვეყნებისა, 10 დღის განმავლობაში ვინც არ გაასწორებს თავიანთ დავალიანებას, მათი სახელი და გვარი იქნება გამოცხადებული გაზეთ „კომუნისტში“ და „მუშაში“, რის შემდეგ საქმე გადაეცემა სასამართლოს.

ლანჩხუთის ეპოს გამგეობა.

2—2 ნ. 1615

მე-2 ქართულ ტერიტორიალური საარტილერიო ლეგიონი

აცხადებს ლეგიონს ცვალებად შემადგენლობაში ჩარიცხულ ქვემოდ ჩამოთვლილ სამხედრო ვალდებულ პოლიტმომუშავეთა საყურადღებოთ, რომ ისინი ვალდებულნი არიან გამოცხადდენ საერთო შეკრებაზე ა/წ. 15 აგვისტოს ლეგიონში ქ. თბილისში.

1. თოხაძე სეიონი ესტატეს ძე,
2. სოხაძე ამბაკო ალექსის ძე,
3. მანაგაძე ფილიპე ბათლომეს ძე,
4. ცაგარეიშვილი შალვა ვლადიმერის ძე,
5. სანაკოევი ვასილი ევქთიმეს ძე,
6. ხუციევი მარტინე,
7. კუტუბიძე ბენო,
8. კურასპედიანი ირაკლი,
9. უნგიაძე მირიანე ბესარიონის ძე,
10. მაჩიტაძე მიხეილი რაჟდენის ძე,
11. კულუმბეგაშვილი გრიგოლი,
12. ანდღულაძე მიხეილი.

აღნიშნული მოქალაქენი წინა დღით გამოცხადდებიან ადგილობრივ მაზრის სამხედრო კომისარიატებში, სადაც მიიღებენ თბილისამდე რკინისგზით სამგზავრო საბუთებს. 2271 1—1.

ამით ცხადდება ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ დაიბეჭდა და ამ დღეებში დარიგდება

ვ. კოტეტიშვილის

„ქართული ლიტერ. ისტორია“

ნაწ. 1.

მიუხედავათ იმისა რომ, ზოგიერთ აგენტს ანგარიში არ წარმოუდგენია, ხელის მომწერლებს წიგნები (გამოცხად. „კომუნისტში“ 4 მარტიდან) მაინც უკლებლივ დაურიგდება

გამომცემლობა „მეცნიერება საქართველოში“.

ნის. 1621—1—1

განათლების კომისარიატმა გახსნა გლეხურ ახალგაზრდობის სკოლების მუშაკთა

გადასამზადებელი კურსები

კომისარიატი იწვევს ამ კურსების მსმენელებად ამ პირთ, რომელთაც აქვთ აგრონომიული განათლება და სურთ იმასწავლებლონ გლეხურ ახალგაზრდობის სკოლებში საქართველოს რესპუბლიკის სხვადასხვა მაზრებში.

ცნობების მიღება შეიძლება 20 აგვისტომდე განათლების კომისარიატის სასკოლო განყოფილებაში (ოთახი 4).

2273. 1—1 სოციალურ აღზრდის მთავარმმართველობა.

ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველო

ამით აცხადებს მგზავრების საყურადღებოთ, რომ 17 აგვისტოდან დამატებითი მატარებლები № 60 და 61 თბილის-კარაკლის შორის და დამატებითი მატარებლები № 64 და 65 შორაპან-საჩხერეს შორის ივლიან ყოველ დღე შემდეგი ცხრილით:

მატარებელი № 61	გადის თბილისიდან	13 საათ.	45 წუთ.	ყოველდღე
„ „	ჩავა კარაკლისში	21 საათ.	15 „	„
მატარებელი № 60	გამოვა კარაკლისიდან	23 საათ.	30 „	„
„ „	ჩამოვა თბილისში	6 „	15 „	„
მატარებელი № 64	გავა შორაპნიდან	7 „	10 „	„
„ „	მივა საჩხერეში	10 „	30 „	„
მატარებელი № 65	გამოვა საჩხერედან	11 „	25 „	„
„ „	ჩავა შორაპანში	14 „	40 „	„

შენიშვნა: 1) საათები აღნიშნულია მოსკოვის დროით, რომელიც უკან არის ერთი საათით.

2) მატ. № 60 და 61-ის ყოველდღიურად მიმოსვლის გამო ბილეთები მატ. № 3-ზე თბილის-კარაკლისს შორის მიეცემათ პირველ რიგში მგზავრებს, რომელნიც მიდიან კარაკლისს იქით, ხოლო დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე მატ. № 3-ში ბილეთები მიეცემათ ადგილობრივ მგზავრებს ე. ი. კარაკლისამდე.

3) მატარებლები № 64 და 65 შეთანხმებულია შორაპანში მთავარი ხაზის მატარებლებთან № № 4, 7, 10 და 21.

ნ. 1620 1—1

ა/კავკასიის რკინის გზის თელავის ქალაქის სადგური

აცხადებს რომ თელავის, ქალ. სადგურში სწარმოებს შემდეგი ოპერაციები:

1. სამგზავრო ბილეთების გაყიდვა ყველა მიმართულებებით (შინ მიტანით)
2. სასაწყობო ოპერაციები
3. ყველა საკომერციო ოპერაციები
4. სესხის გაცემა საქონლის გირავნობით, როგორც სამიმოსვლო სადგურებზე, ისე საწყობებში.
5. ტვირთის მიღება, გაგზავნა და გაცემა.
6. ტვირთის გადაგზავნა შარაგზით.
7. საქონლის ყიდვა-გაყიდვა რკინის გზით მუშტრების დავალებით.
8. საბაჟო, სააქციზო და სხვა დავალებათა შესრულება.

ყველა ზემოხსენებული სატრანსპორტო ოპერაციები სწარმოებს უმცირესი საკომისიო ფასგადახდით

თელავის ქალაქის სადგური დიდ დახმარებას უწევს მუშტრებს სარკინისგზო-სატრანსპორტო საქმეებში.

ნ. № 1619 1—1

თბილისის
კომუნალური ბანკი

პუშკინის ქ. № 3

აწვდის

სარემონტო-სააღმშენებლო სამუშაოებისათვის

ციმბირის სახურავ რკინას, საუკეთესო ხარისხის ლაქს, საღებავებს და სელის ოლიფას, ქარხანა „ლაკოკრასკას“ ქარხნებიდან (ყოფ. მამონტოვის ქარხნები) ფანჯრის მინებს ბემისას, ლურსმანს, ცემენტს და სხვა სააღმშენებლო მასალას.

3—2 ნ. 1593

„მუზპრედ“-ის
თბილისის განყოფილება

იღებს რა მხედველობაში ბათუმის, ქუთაისის და მათი მიდამოების მცხოვრებთა დიდ მოთხოვნილებას როიალებზე და პიანინოებზე და აგრეთვე წვრილმან სიმებიან ინსტრუმენტებზე, აგზავნის თავის წარმომადგენლებს ინსტრუმენტების შეძენის მსურველთა ჩასაწერად და მათთან მოლაპარაკების საწარმოებლად.

სხვადასხვა ფირმების და მოდელების პიანინო და როიალი.

ნახმარი . . . . 400 მანეთიდან და ზევით
ახალი . . . . 850 მანეთიდან და ზევით

ცნობების მიღება შეიძლება ქ. ბათომის 3 ინტერნაციონალის ქუჩა კინო „პალასი“ დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე ამხ. მაშკევიჩთან და ქალ. ქუთაისში სამუსიკო ტეხნიკუმში დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

„მუზპრედი“

ნ. 1594—3—2

„ჟირსინდიკატ“
(ЖИРСИНДИКАТ)
საწვრიმალო მაღაზია

თავისუფლების მოედანი № 1 (ყოფ. ერევნ. მოედ.)

უმაღლეს
ხარისხის
პარფიუმერია,
კოსმეტიკა

პირსაბანი საპონი და სანთლები

ტეჟე (ТЭЖЭ)

ყოფ. ბროკარი და რალლე

მიღებულია სრულიად ახალი პარტია

ნ. 1618 5—1

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულებ. ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 19 აგვისტოს 1925 წ. საათის 12, პლეხანოვის პროსპ. № 177 და 168 მეორე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ტიგრან ფიჩხულოვის მოძრავ ქონებას: ცხენს, ცხვარს, ტაჩკას, სხვადასხვა ფერის როგოჟებს და ლენტებს, მარმარილოს სამელნეს, კალათებს, სარკეს, შკაფს, სელის [illegible], ბანკებს თიხისას და შუშისას, დუგებს, ლამპებს, შანდალ-კარნიზებს, ელექ. შუშებს, გამოსარიცს, ელფერი შეფასებულს 437 მ. 50 კ. დასაკმაყოფილებლად მუშებისა, ალმასკომისა, მუშათა კავშირისა. ვაჭრობა დაიწყება თავისუფალი ფასიდან.

2276. 1—1 სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ოდიშარია.

ექიმი მ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ვენერიულ ავადმყ. [illegible] (ოლღას ქ. 48).

ტელ. 4—83 საღამოს 7—8 საათ. [illegible] რონის სამკურნალო კაბინეტი.

25—18

ექიმი ა. ს. ფუნ-ირტელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. [illegible]), [illegible] ავადმყოფობათა ([illegible]), [illegible] სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—15

ექიმმა შუხმანმა

განაახლა მიღება ვენერიულ სნეულებაში

საღამოს 6—8 საათამდე; ქალების დილის 2—3 საათამდე. ელისაბედის ქ. № 89 (ქსენიევის ქუჩის პირდაპირ).

21—3

ექიმი გ. გოლდშტეინი

იღებს თვალით ავადმყოფებს საღამოს 6—8 საათამდე ნიკოლოზის ქ. 32 სათვალეების არჩევა და თვალებზე [illegible] უფასოთ საქ. სახელმწიფო [illegible] განყოფილებაში, თავისუფლების მოედანი № 7, დილის 2—4 საათამდე. 25—12

ექ. ა. ე. უზლანერ

ვენერიული, კანის და შინაგანი ავადმყოფობანი. ლორის-მელიქოვის ქ. 4 ბინ. 1. პუშკინის ბაღის პირდაპირ. მიღება: დილის 8—9 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე.

25—2

ექიმი გ. მ. ფხალაძე

კანისა და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი „606“—„914“)

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—8 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო ჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ).

25—1

დაიკარგა სამხედრო საარიცხვო ბარათი № 18 ფორმის № 4 გიორგი რომანოზის ძე მარკელიას სახელზე. ჩ. გ. 2278 1—1

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 1235 აბრამა მიხეილის ძე ნასხლეტიშვილის სახელზე ჩ. გ. 2281 1—1

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა სონა მამასახლისოვის სახელზე. ჩ. გ. 2280 1—1

დაიკარგა პარტბილეთი № 500013 კალენიკე გიორგაძეს სახელზე. ჩ. გ. 2288 1—1

დაიკარგა პარტიული მანდატი № 493,818 გიორგი ყარამანის ძე კობიაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2284 1—1

დაიკარგა საწევრო წიგნაკი № 477 ნიკოლოზ ზაქარიას ძე ცერცვაძის სახელზე. ჩ. გ. 2286 1—1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი ოლღა ილიას ასული კვინიკაძის სახელზე. ჩ. გ. 2284 1—1

ტირაჟი—21.920

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, სამშ. წულუკიძის ქ. № 4